



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო

# გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მონიტორინგის შუალედური ანგარიში

1 თებერვალი - 19 ივლისი 2013



SWEDEN



## გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მონიტორინგის შუალედური ანგარიში

1 თებერვალი - 19 ივლისი 2013

ანგარიში მომზადდა შვედეთის განვითარების სააგენტოს (Sida) გრანტის ფარგლებში. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა არ ასახავდეს Sida-ს მოსაზრებებს.



SWEDEN

## სარჩევი

ბაჩანა ახალაია .....	4
საქმე #1 .....	4
1. სენაკის ეპიზოდი .....	4
2. ვაზიანის ეპიზოდი .....	6
3. აბესაძის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდი .....	8
საქმე #2 (ე.წ რეინჯერის კურსის საქმე) .....	13
საქმე #3 (ე.წ ციხის ბუნტის საქმე) .....	17
გიგი უგულავა და დავით კეზერაშვილი .....	19
1. ტელეკომპანია იმედის ეპიზოდი .....	19
ვანო მერაბიშვილი .....	25
საქმე #1 .....	25
1. სანდრო გრიგლიანის ეპიზოდი .....	25
2. 26 მაისი ეპიზოდი .....	26
საქმე #2 .....	27
1. ამომრჩეველთა მოსყიდვის ეპიზოდი .....	27
2. აგარაკის მისაკუთრების ეპიზოდი .....	28
ირაკლი ოქრუაშვილი .....	30
ნიკა გვარამია .....	32
თენგიზ გუნავა .....	35
1. ცეცხლსასროლი იარაღით მძღოლის ჯანმრთელობის დაზიანების ეპიზოდი .....	35
2. სახელმწიფო სახსრების უკანონოდ მითვისების ეპიზოდები (II და III ეპიზოდები) .....	36

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიში გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მონიტორინგის შესახებ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 2013 წლის თებერვლიდან ახორციელებს გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო სხდომათა მონიტორინგს. წინამდებარე ანგარიში შეიცავს ინფორმაციას 2013 წლის თებერვლიდან 19 ივლისამდე პერიოდის შესახებ. ორგანიზაციის დამკვირვებლები ესწრებიან სასამართლო სხდომებს, რომლებზეც მაღალი თანამდებობის პირების საქმეები იხილება. ქვემოთ გთავაზობთ მონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და საქმეთა აღწერილობას. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესების ნაწილი უკვე დასრულებულია და საქმეზე საბოლოო განაჩენია გამოტანილი, თუმცა ანგარიშმა ასევე მოიცვა საქმეები, რომელთა განხილვაც დღესაც მიმდინარეობს.

პროცესის დაკვირვებისას რამდენიმე საყურადღებო ტენდენცია დაფიქსირდა:

- სასამართლოს პროცესზე დაცული იყო მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპები. როგორც დაცვას ასევე ბრალდებას თანაბარი საშუალება ჰქონდათ საკუთარი პოზიციების დაფიქსირების და მათ შეუფერხებლად შეეძლოთ ესარგებლათ საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით.
- აღსანიშნავია, რომ ბრალდება ძირითადად (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) მხოლოდ მოწმეების ჩვენებას ეყრდნობოდა. სხვა მტკიცებულება ანგარიშის მომზადების მომენტამდე წარმოდგენილი არ ყოფილა.
- გამოიკვეთა ტენდენცია, როდესაც პროკურატურის მიერ მოწვეულმა მოწმეებმა მოგვიანებით ჩვენებები შეცვალეს. (დაფიქსირდა რამდენიმე ასეთი შემთხვევა).
- დაცვის მხრის ზოგიერთი წარმომადგენელი პროცესის შესახებ ხშირად პოლიტიკურ განცხადებებს ავრცელებდა.
- პროცესებზე სასამართლომ სამჯერ გამოიყენა დისციპლინური ღონისძიება.<sup>1</sup>
- ყველა შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულებს შესთავაზეს სასამართლოს პროცესის ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატარება, მათ უარი განაცხადეს შეთავაზებაზე იმ მოტივით, რომ საზოგადოებაში მათზე გარკვეული მცდარი აზრი უკვე ჩამოყალიბებული იყო, რაც ხელს შეუშლიდა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.
- სასამართლო წინასწარ არ აქვეყნებდა ინფორმაციას იმ სხდომების შესახებ, სადაც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი უნდა განხილულიყო. აღნიშნული პრაქტიკა გახმაურებული პროცესების საჯაროობას უშლის ხელს.
- ბაჩანა ახალაიას საქმეში, მიუხედავად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისა, პროკურატურა შეეწინააღმდეგა სხდომის ვიდეო გადაღებას და ამ გზით პროცესის განსაჯაროების.
- სასამართლო პროცესების მიმდინარეობის პერიოდში საზოგადოების წარმომადგენლები და ორგანიზებული ჯგუფები აქციებს მართავდნენ ბრალდებულების წინააღმდეგ.

<sup>1</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით, რომელიც გამოგზავნილ იქნა 07.09.2013

გასათვალისწინებელია ის გარემოებებიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, სხვა შემთხვევებში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულია განაჩენი, რომელიც შესაძლოა გასაჩივრდეს, რის გამოც საქმეზე შესაძლოა განსხვავებული შედეგი დადგეს. ამის გამო, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ თავს იკავებს საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებების შეფასებისგან. ორგანიზაცია აგრძელებს გახმაურებული საქმეების მონიტორინგს და მომავალშიც შემოგთავაზებთ მათ მიმოხილვას.

## ბაჩანა ახალაია

ბაჩანა ახალაიას პროკურატურამ ბრალი გასული წლის ნოემბერში სამი სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ქმედების განხორციელებისთვის წარუდგინა, აღნიშნული ქმედებები მოგვიანებით გაერთიანდა ერთ საქმეში, რომელიც მოიცავს სამ ეპიზოდს. ამასთან ამა წლის მარტში ბაჩანა ახალაიას დამატებით წარედინა ბრალი ორ საქმეზე. ბაჩანა ახალაიას ორი საქმე სასამართლოში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იხილებოდა.

### საქმე #1

#### 1. სენაკის ეპიზოდი

2010 წლის თებერვალში სენაკის სამხედრო ბაზაზე 19 სამხედრო მოსამსახურის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდი.

#### 1.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

ბაჩანა ახალაია - თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი;

#### წაყენებული ბრალი:

1. სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მეორე ნაწილი და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი
2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილს „ა“ ქვეპუნქტი.
3. წამების ორგანიზება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით 2 ან მეტი პირი მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე, 1 პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

ალექსანდრე გორგაძე - შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სერჟანტი; მეოთხე ქვეითი ბრიგადის სერჟანტი;

გიორგი კალანდაძე - გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი;

მერაბ კიკაბიძე - საბრძოლო მომზადების ოფიცერი; მეორე ქვეითი ბრიგადის მეთაური.

## წყენებული ბრალი:

1. მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის "გ" ქვეპუნქტი.
2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილს "ა" ქვეპუნქტი.

## 1.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად

ბრალდების თანახმად 2010 წლის თებერვალში ბაჩანა ახალაიას მითითებით 19 ჯარისკაცს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, კერძოდ კი მოხდა მათი აბანოში ჩაკეტვა. შემთხვევას ადგილი ჰქონდა სენაკის მეორე ბრიგადის ტერიტორიაზე. მათ ასევე მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

## 1.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები:

### პროკურატურა:

პროკურატურამ წარმოადგინა 93 მოწმე. ისინი მიუთითებდნენ, რომ სამხედრო ბაზაზე ცხრამეტმა ჯარისკაცმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესების მოტივით უარი განაცხადა ვარჯიშზე. ამის შემდეგ ისინი გადაიყვანეს სენაკის ბაზაზე, სადაც მათ შეხვდათ ბაჩანა ახალაია. ოთახში იმყოფებოდნენ ასევე მერაბ კიკაბიძე, გიორგი კალანდაძე და ალექსანდრე გორგაძე. ბაჩანა ახალაიამ სათითაოდ მიმართა ცხრამეტ სამხედრო პირს კითხვით თუ რატომ თქვეს უარი ვარჯიშზე. მოწმეთა განცხადებით მიმართვა ატარებდა შეურაცხმყოფელ ხასიათს, ხოლო ერთ ერთ ჯარისკაცს ახალაიამ ნახევარლიტრიანი ბოთლი ესროლა, რომელიც მას არ მოხვედრია. ასევე, სხვა ჯარისკაცის ჩვენების თანახმად, მას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა გიორგი კალანდაძე. ამის შემდეგ ბრალდებულებმა ჯარისკაცებს უბრძანეს ტანს ზევით გაეხადათ ტანსაცმელი, შემდეგ გადაუღეს სურათები მოგვიანებით კი ერთი საათის განმავლობაში არბენინეს და ამახებინებდნენ ფრაზას „საჭმლის არ ჰქამა ცუდია“.

ჯარისკაცების სირბილს ხელმძღვანელობდა ალექსანდრე გორგაძე. ერთ ერთი ჯარისკაცის განცხადებით მას ტკივილები ჰქონდა რის გამოც სირბილი უჭირდა. აღნიშნულის გამო ალექსანდრე გორგაძემ მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა.

ბრალდების თანახმად, მოგვიანებით ბაჩანა ახალაია ეზოში გავიდა და გასცა ბრძანება მოესვენებინათ პლაცზე მოვარჯიშე ჯარისკაცები. რის შემდეგაც ჯარისკაცები სამხედრო ნაწილის აბაზანის ტერიტორიაზე ჩაკეტეს, სადაც მათ სამი დღე გაატარეს. ერთ-ერთი დაზარალებულის განცხადებით, ისინი საკმაოდ მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. აბაზანაში მათი ჩაკეტვის მომენტიდან გაითიშა გათბობაც. ასევე ერთ ერთი მოწმის განცხადებით იმ პირობებში სენაკში მისი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ როდესაც მას აბაზანის დატოვების უფლება მისცეს მას არ ჰქონდა სიარულის უნარი და იგი მანქანამდე ხელში აყვანილი მიიყვანეს.

## დაცვის მხარე:

დაცვის მხარემ წარმოადგინა 30<sup>2</sup> ჰა მოწმე. მათ შორის ჩვენებები მისცა ბაჩანა ახალაიას დაცვის სამმა წევრმა. ისინი უარყოფენ ბაჩანა ახალაიასა და სხვა ბრალდებულების მიერ ჯარისკაცებისთვის სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს. მათი თქმით დანაშაულს ადგილი არ ჰქონია.

ასევე დანაშაულებრივი ნიშნების მქონე ქმედების ჩადენის ფაქტს უარყოფენ თავად ბრალდებულები. ისინი არ ცნობენ თავს დამნაშავედ. მათი ჩვენები კი ერთმანეთთან თანხვედრაშია.

მოწმეთა ნაწილი პროცესზე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ცხრამეტი ჯარისკაცის სენაკის ბაზაზე გადაყვანის შესახებ შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტი არ შემდგარა. მოწმეთა თანახმად აღნიშნული დოკუმენტის შედგენა სავალდებულოა ჯარისკაცების დისლოკაციის ადგილის ცვლილებისას.

## 2. ვაზიანის ეპიზოდი

2011 წლის ოქტომბერში 5 სამხედრო მოსამსახურისთვის ვაზიანის სამხედრო ბაზაზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ეპიზოდი.

### 2.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

**ბაჩანა ახალაია** - თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი;

#### წაყენებული ბრალი:

სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მეორე ნაწილი და მესამე ნაწილის “გ” ქვეპუნქტი.

**ზურაბ შამათავა** - მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური ვაზიანის სამხედრო ბაზაზე;

**ალექსანდრე გორგაძე** - შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სერჟანტი; მეოთხე ქვეითი ბრიგადის სერჟანტი;

**გიორგი კალანდაძე** - გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი;

#### წაყენებული ბრალი:

მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია,

<sup>2</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მეხამე ნაწილის “გ” ქვეპუნქტი.

## **2.2 რაში გამოიხატებოდა ქმედება პროკურატურის ბრალდების მიხედვით**

პროკურატურის მტკიცებით 2011 წლის ოქტომბერში 5 სამხედრო მოსამსახურეს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ამავე პიროვნებებს მუქარით დააწერიეს განცხადება სამხედრო ძალების დატოვების შესახებ.

## **2.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები:**

### **პროკურატურა:**

მოწმეთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ვაზიანის სამხედრო ნაწილის ჯარისკაცებმა დაბალი მომზადების გამო ვერ გაიარეს შემოწმება, რის გამოც ისინი სპეციალური დანიშნულების რაზმიდან გადაანაწილეს სამხედრო ბრიგადებში. აღნიშნულის გამო რამდენიმე ჯარისკაცმა უკმაყოფილება გამოთქვა. მოწმეთა ინფორმაციით, ბაჩანა ახალაია ჯარისკაცებთან გასაუბრების მიზნით, 2011 წლის 25<sup>3</sup> ოქტომბერს ვაზიანს ესტუმრა. მან დაიბარა სამხედრო მოსამსახურეები ერთ ერთ კაბინეტში. მოწმეთა ჩვენებების თანახმად კაბინეტში ასევე იმყოფებოდა ზურაბ შამათავაც, რადგან ჯარისკაცები, რომლებმაც უკმაყოფილება გამოთქვეს ბრიგადებში გადანაწილებასთან დაკავშირებით სწორედ მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს წარმოადგენდნენ.

ბრალდების მოწმეები (დაზარალებულები) აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ერთ-ერთი დაზარალებულის განცხადებით იგი შეიყვანეს მინისტრის კაბინეტში, სადაც მისი მომზადებით უკმაყოფილო ახალიამ მას თავში დანის ბლაგვი მხარე ჩაარტყა.

### **დაცვის მხარე:**

ბაჩანა ახალაიას განცხადებით შეხვედრისას ძალის გამოყენებას ან შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. იგივეს ადასტურებენ მოწმის სტატუსით დაკითხულები მინისტრის ორი ყოფილი მრჩეველი და მოქმედი პარლამენტის წევრი კახა ბუცხრიკიძე.

3. ანგარიშის მიხედვით, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეების ორი ყოფილი მრჩეველისა და პარლამენტარ კ. ბუცხრიკიძის ჩვენებებით ახალაიას მხრიდან „ძალის გამოყენებას ან შეურაცხყოფას ადგილი არ ქონია“.

დაცვის ერთ-ერთი მოწმის ჩვენების თანახმად 2011 წლის ოქტომბერში ბაჩანა ახალაია მართლაც იმყოფებოდა ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, თუმცა აღნიშნული მოწმე მისი მისვლის მიზეზად სამხედროებისთვის სწავლების დასრულების მილოცვას ასახელებს.

<sup>3</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით



### 3. აბესაძის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდი

2011 წლის სექტემბერს ზურაბ აბესაძის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდი.

#### 3.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

ბაჩანა ახალაია - თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი;

#### წაყენებული ბრალი:

1. სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მეორე ნაწილი და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი
2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილს „ა“ ქვეპუნქტი.

მანუჩარ დარასელია - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი.

გიორგი კინწურაშვილი - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი.

გაგა მკურნალიძე - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე.

#### წაყენებული ბრალი:

1. მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილს „ა“ ქვეპუნქტი.

**შენიშვნა:** გ. მკურნალიძე, მ. დარასელია და გ. კინწურაშვილი თავდაპირველად მონაწილეობას იღებდნენ პროცესში მოწმის სტატუსით, ხოლო მათ მიერ ჩვენებების შეცლის შემდეგ ისინი სასამართლოს წინაშე წარსდგნენ ბრალდებულის სტატუსით. (დამატებით ინფორმაცია იხილეთ პროცესის აღწერილობის თავში).

#### 3.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების მიხედვით

პროკურატურის მტკიცებით 2011 წლის ოქტომბერში 5 სამხედრო მოსამსახურეს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ამავე პიროვნებებს მუქარით დააწერიეს განცხადება სამხედრო ძალების დატოვების შესახებ.

ბრალდების თანახმად 2011 წლის 13 სექტემბერს, გამთენიისას ბაჩანა ახალაიამ ქ. თბილისში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ზურაბ აბესაძეს და მუქარით მოსთხოვა მის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა ეჩუქებინა სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის, რასაც ეს უკანასკნელი დაეთანხმა. მანქანის გადაცემის შემდეგ, ბაჩანა ახალაიას დავალებით, აღნიშნული პირი წაიყვანეს ქ. თბილისში,

მუხიანის დასახლებაში, სადაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება 2011 წლის 13 სექტემბრის 21 საათამდე.

### 3.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები:

#### პროკურატურა:

მოწმე გ.ბ-ს გაცხადებით მას დილის საათებში დაუკავშირდა ბაჩანა ახალაია და უთხრა ზურაბ აბესაძე მიეყვანა რესტორანში. აღსანიშნავია, რომ მოწმის ჩვენების თანახმად ის და ბაჩანა ახალაია მეგობრობდნენ ზურაბ აბესაძესთან და იყვნენ მისი შვილის ნათლიები. გ.ბ-მ შეასრულა მითითება და მიიყვანა ზურაბ აბესაძე მითითებულ ადგილას. თავად გ.ბ-მ აბესაძის ადგილზე მიყვანის შემდეგ მალევე დატოვა რესტორანი. მისი თქმით ის რესტორანში რაიმე სახის ძალადობის მომსწრე არ ყოფილა, შესაბამისად იგი ვერ ადასტურებს, რომ ახალაია უშუალოდ მონაწილეობდა აბესაძის ცემაში. 4-5 დღის შემდეგ, როდესაც ის კვლავ შეხვდა ზურაბ აბესაძეს და შეატყო მას ფიზიკური დაზიანების ნიშნები, ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ ავარიამი მოყვა. დაცვის მხარემ რამოდენიმეჯერ დაუსვა შეკითხვა მოწმეს ჰქონდა თუ არა მის მიმართ ზეწოლას ადგილი გამოძიების ეტაპზე. მოწმემ ზეწოლის არსებობა უარყო.

**ზურაბ აბესაძის** (პროცესში დაზარალებულად ცნობილი პირი) ჩვენების თანახმად მას დილის 4 საათზე დაუკავშირდა უცნობი პიროვნება, რომელმაც მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაზეც ზურაბ აბესაძემ იგივეთი უპასუხა. იმავე ღამეს დაზარალებულს დაუკავშირდნენ და ერთ-ერთ რესტორანში შეახვედრეს ბაჩანა ახალაიას. შეხვედრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პიროვნება, რომელსაც ის ტელეფონით ესაუბრა, იყო გაგა მკურნალიძე. ამის შემდეგ დაზარალებული სცემეს და უკანონოდ შეუზღუდეს თავისუფლება. აბესაძის ჩვენების თანახმად ბაჩო ახალაია მონაწილეობდა მის ცემაში, თუმცა თავისუფლების აღკვეთის მომენტში ახალაია ადგილზე არ იმყოფებოდა. აბესაძის განცხადებით, მოგვიანებით იგი იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ დასჯის შესახებ არაფერს იტყოდა, ხოლო მის კუთვნილ ავტომანქანაზე კი მიატოვებდა საკუთრების უფლებას. მოწმის ჩვენება იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ მის მიმართ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები მიზნად ისახავდა მის დასჯას ბაჩანა ახალაიასთან დაახლოებული პირის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის.

დაზარალებული აღნიშნავს, რომ მან მანამდე შიშის გამო არ მიმართა შესაბამის ორგანოებს გამოძიების ჩატარების შესახებ განცხადებით. მხოლოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ შეძლო დაეწერა შესაბამისი განცხადება. დაზარალებულის დაკითხვის დროს გაირკვა, რომ იგი ფინანსურად ეხმარებოდა იმ დროინდელ ოპოზიციურ პარტიებს, ვინაიდან ნეგატიურად იყო განწყობილი ხელისუფლების მიმართ.

პროცესზე ასევე დადგინდა, რომ დაზარალებული თაღლითობისა და ყაჩაღობისთვის ორჯერ იყო ნასამართლევ (წლები და დეტალები პროცესზე არ დასახელებულა). ამ საკითხთან დაკავშირებით **ზურაბ აბესაძემ** განაცხადა, რომ ის უკანონოდ იყო გასამართლებული და აღნიშნული მისი ბიზნესის წართმევას ისახავდა მიზნად. პროცესზე არ დასახელებულა თუ კონკრეტულად რა ბიზნესის მფლობელი იყო ზურაბ აბესაძე.

#### დაცვის მხარე:

დაცვის მხარის მიერ პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი მოწმის **გაგა მკურნალიძის** დაკითხვისას, გაირკვა რომ მან თავისი ჩვენება შეცვალა. გამოძიების ეტაპზე ის აცხადებდა, რომ ახალაიას დავალებით თავისუფლება შეუზღუდა აბესაძეს. მკურნალიძემ მიუთითა, რომ

გამოძიების ეტაპზე ჩვენება მიცემული იყო გამოძიების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შედეგად და დაზარალებულის წინააღმდეგ რაიმე სახის სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქედების განხორციელებას ადგილი არ ჰქონია. **მკურნალიძეს** არ დაუსახელებია კონკრეტულად ვინ ახდენდა მასზე ზეწოლას. ამ ეტაპზე **გაგა მკურნალიძე** საქმეში ბრალდებულის სტატუსით მონაწილეობს.

**შენიშვნა:** აღსანიშნავია, რომ ჩვენების შეცვლის შემდგომ გაგა მკურნალიძეს პროკურატურამ გ. აბესაძის ცემისა და მისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეში ბრალდებულად ცნო.

დაცვის მხარის ერთ-ერთი მოწმის, თეა თუთბერიძის განცხადების თანახმად 2012 წლის 10-11 ნოემბერს მას დაუკავშირდა ორი პიროვნება (**მანუჩარ დარასელია და გიორგი კინწურაშვილი**), სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები (აღნიშნული ორი პიროვნება ახალაიას საქმეში მოწმეებად ფიგურირებენ), რომლებმაც მიაწოდეს მას ინფორმაცია პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან მათზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ. მათი გადმოცემით, პროკურატურის თანამშრომლებმა განუცხადეს, რომ თუ ისინი ჩვენებას მისცემდნენ **ახალაიას წინააღმდეგ** საქმეში მოწმის სტატუსი შეუნარჩუნდებოდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ბრალდებულის სტატუსით მოუწევდათ სასამართლოს წინაშე წარდგენა. ერთ ერთმა მოწმემ **ვიდეო** მიმართვაც გაავრცელა. **გიორგი კინწურაშვილი** იმაზეც მიუთითებდა, რომ ის წამების კადრებში ფიგურირებდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა თავად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ **მანუჩარ დარასელია და გიორგი კინწურაშვილი** მართლაც წარმოადგენდნენ მოწმეებს **აბესაძის** ეპიზოდთან დაკავშირებით და მიუხედავად იმისა, რომ მათი ქმედებები შეიცავდა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების ნიშნებს, მათ მიმართ ბრალდების წარდგენა თავდაპირველად არ მომხდარა. (იხ. მთავარი პროკურორის **განცხადება**). აღსანიშნავია, რომ **მანუჩარ დარასელიას და გიორგი კინწურაშვილს** ბრალი აღნიშნული **ვიდეოების** გავრცელების შემდეგ წაუყენეს.

პროცესზე ბრალდებულ **მერაბ კიკაბიძის** განცხადებით პროკურატურის თანამშრომლები თხოვდნენ მას ახალაიას საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას. ხოლო აბესაძის ეპიზოდთან დაკავშირებით დაბარებულმა მოწმემ **თ.ტ-მ** განაცხადა, რომ შსს კრიმინალურ პოლიციაში ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემის მიზნით მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა.

#### 4. პროცესის მიმდინარეობა

**დაცვის მხარის შუამდგომლობა:** გაგა მკურნალიძის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების მოგვიანებით პროცესზე შეცვლის შემდეგ, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მკურნალიძის პირველი ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობისა და ბაჩანა ახალაიას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის, გირაოთი (50 ათასი ლარი) შეცვლის შესახებ.

დაცვის მხარე აღნიშნული შუამდგომლობის წარდგენისას ეყრდნობოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომელთა თანახმადაც პატიმრობა ბრალდებულს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეეფარდება. ამასთან დაცვა იმაზე აპელირებდა, რომ საქმე უკვე არსებითად იხილებოდა, შესაბამისად აღარ არსებობდა ბაჩანა ახალაიას მიერ მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელშეშლის თუ მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროება.

**შენიშვნა:** ბაჩანა ახალაიას მიერ მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელშეშლის და/ან მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროება წარმოადგენდა პროკურატურის არგუმენტს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებაში.

დაცვის მხარემ სათითაოდ განიხილა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული პატიმრობის საფუძველები და მიიჩნია, რომ არც ერთი საფუძველი არ იყო სახეზე. დამცველი ასევე აღნიშნავდა, რომ ბაჩანა ახალაიას მიმართ თავდაპირველად წარდგენილი იყო ორი ბრალდება, რაზეც გამოძიება ცალ-ცალკე მიმდინარეობდა. ორივე საქმეზე ახალაიას სათითაოდ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, ხოლო შემდეგ პროკურატურამ დადგენილებით ეს ორი საქმე გააერთიანა ერთ საქმედ, ხოლო ახალაიას მიმართ დარჩა აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული ორი პატიმრობა. დაცვის მხარე აღნიშნავდა, რომ ამგვარ წესს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა და შესაბამისად აღმკვეთი ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობა უნდა შეცვლილიყო.

**ბრალდების მხარის პოზიცია:** დაცვის მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას ბრალდებამ იმ არგუმენტით უპასუხა, რომ ახალაიას მიმართ ორჯერ პატიმრობის გამოყენება დადგენილი იყო სასამართლოს განჩინებით კანონის სრული დაცვით და არ არსებობდა პატიმრობის შეცვლის საფუძველი. დაცვის მხარის მიერ იმ ფაქტზე აპელირება, რომ საქმეზე მტკიცებულებათა შეგროვება დასრულდა და ყველა მოწმის დაკითხვის გამო მათზე ზეწოლის საფრთხე აღარ არსებობდა, პროკურორმა მიუთითა, რომ ჩვენება საბოლოოა მაშინ, როდესაც მოწმე საქმის არსებით განხილვაზე მიაწვდის სასამართლოს საბოლოოდ ინფორმაციას, ამდენად მოწმეზე ზემოქმედების საშიშროება ახალაიას მხრიდან გაქარწყლებული არ იყო. პროკურორმა მიიჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ არ იყო წარმოდგენილი ახალი გარემოება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გირაოთი შესაცვლელად და ამიტომ ეს შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

**სასამართლოს განჩინება:** ერთსაათიანი თათბირის შემდეგ მოსამართლემ აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით სასამართლო დარბაზში გამოაცხადა განჩინება, რომლის თანახმადაც არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ახალაიას მიმართ პატიმრობის გირაოთი შეცვლის თაობაზე. სასამართლოს განმარტებით კვლავ არსებობდა ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვაზე დასაკითხი მოწმეებზე ზეწოლის შესაძლებლობა, ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაცვის მხარის მიერ ვერ იქნა მითითებული ის ახალი გარემოება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად ჩაითვლებოდა ახალ გარემოებად და პატიმრობის აღკვეთის ღონისძიების სხვა სახით შეცვლის საფუძველი გახდებოდა.

მოსამართლემ მიუთითა, რომ საქმის არსებითად განხილვისას დასაკითხი იყო მოწმეთა დიდი რაოდენობა, რომელთაც ჩვენება მიცემული ჰქონდათ ახალაიას წინააღმდეგ და ამ მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე კვლავაც არსებობდა.

**დაცვის მხარის მოთხოვნა:** წინასასამართლო სხდომაზე ბაჩანა ახალაიას ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა და მოითხოვა სხდომის აუდიო-ვიდეო გადაღების დაშვება.

**ბრალდების მხარის პოზიცია:** შუამდგომლობას არ დაეთანხმა ბრალდების მხარე. პროკურატურამ განაცხადა: „შუამდგომლობას არ აქვს სამართლებრივი საფუძველი“. სხვა არგუმენტაცია და დასაბუთება პროკურატურის წარმომადგენელს არ მოუყვანია.

**განჩინება:** მოსამართლემ ადგილზე თათბირით მიიღო გადაწყვეტილება შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, კერძოდ მოსამართლემ დაცვის მხარეს მხოლოდ

აუდიო ჩანაწერის განხორციელების უფლება დართო. ვიდეო ჩაწერასთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ მოცემული დროისთვის კანონში არ იყო შესული შესაბამისი ცვლილება პროცესების ვიდეო გადაღების დაშვებასთან დაკავშირებით.

**შენიშვნა:** ამ მომენტისთვის საერთო სასამართლოების შესახებ კანონში არ იყო შესული შესაბამისი ცვლილებები, რომელიც პროცესის ვიდეო გადაღების შესაძლებლობას პირდაპირ და შეზღუდვის გარეშე იძლეოდა. თუმცა კანონის იმდროინდელი რედაქციითაც მოსამართლეს საკუთარი გადაწყვეტილებით შეეძლო პროცესის ვიდეო გადაღების ნებართვის გაცემა.

### **სასამართლოს მიერ მხარეთა მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენება:**

ერთ-ერთი მოწმის მიერ სენაკის ეპიზოდთან დაკავშირებით ჩვენების მიცემამ ბაჩანა ახალაიას შეუსაბამო რეაქცია მოჰყვა. აღნიშნული გამო მოსამართლემ მას სასამართლო დარბაზი დაატოვებინა. დარბაზი პროტესტის ნიშნად ახალაიას ადვოკატმაც დატოვა, შედეგად მოსამართლემ იგი პროცესის თვითნებურად დატოვების გამო დააჯარიმა 500 ლარით.

ერთ-ერთი პროცესის მიმდინარეობისას დაცვის მხარის ადვოკატს დაურეკა მობილურმა ტელეფონმა, რის გამოც მოსამართლემ იგი 100 ლარით დააჯარიმა. ასევე ერთ-ერთი სხდომის მიმდინარეობისას მოსამართლემ, უადგილო კომენტარის გამო, დარბაზიდან გააძევა დაცვის მხარის სტაჟიორ-ადვოკატი<sup>4</sup>.

## **5. რა სახის აღკვეთი ღონისძიება შეეფარდა**

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

**დაცვის მხარის პოზიცია:** დაცვის მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას. დაცვის მხარის განმარტებით არ იყო საფუძველი ვარაუდისთვის რომ ბრალდებულები ზეწოლას მოახდენდნენ მოწმეებზე, გაანადგურებდნენ მტკიცებულებებს ან სხვანაირად შეუშლიდნენ ხელს საქმის მიმდინარეობას.

**განჩინება:** სასამართლომ იმსჯელა რა მოცემულ საკითხზე, გაითვალისწინა არსებული ვითარება და ბრალდებულ ბაჩანა ახალაიას აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა. ხოლო ზურაბ შამათავასა და გიორგი კანდელაკს შეეფარდა გირაო 20 ათასი ლარის ოდენობით. ალექსანდრე გორგაძეს შეეფარდა აღკვეთი ღონისძიება გირაოს სახით. რაც შეეხება ბრალდებულებს გაგა მკურნალიძეს, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინწურაშვილს მათ მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოყენებული იქნა აღკვეთის ღონისძიება პატიმრობის სახით. კიდევ ერთ ბრალდებულს მერაბ კიკაბიძეს აღკვეთის ღონისძიება არ შეეფარებია.

**შენიშვნა:** მანუჩარ დარასელია და გიორგი კინწურაშვილი მიმალვაში იმყოფებიან, მათზე გამოცხადებულია ძებნა.

## **6. განაჩენი**

2013 წლის პირველ აგვისტოს მოსამართლემ გამოაცხადა განაჩენი, რომლის თანახმადაც ბაჩანა ახალაია უდანაშაულოდ იქნა ცნობილი სამივე ეპიზოდში. ასევე ბრალი არ დაუმტკიცდათ

<sup>4</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

გიორგი კალანდაძეს, მერაბ კიკაბიძეს, გაგა მკურნალიძეს, გიორგი კინწურაშვილსა და მანუჩარ დარასელიას.

**ზურაბ შამათავასა და ალექსანდრე გორგაძეს**, რომლებსაც წარდგენილი ჰქონდათ ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით, შეერაცხათ პასუხისმგებლობა ცემისთვის, სასჯელის სახედ განესაზღვრათ **150 საათი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა**, ხოლო ამნისტიის შესახებ კანონის შესაბამისად ორივე მათგანი გათავისუფლდა სასჯელის მოხდისა და პასუხისმგებლობისგან.

## **7. ჩვენი დაკვირვება**

### **7.1. სენაკის ეპიზოდთან დაკავშირებით**

მოწმეთა ჩვენების საფუძველზე ბაჩანა ახალაია ჯარისკაცების აბაზანაში ჩაკეტვაში უშუალოდ არ მონაწილეობდა. მათი ინფორმაციით მინისტრმა გასცა ბრძანება შემდეგი სიტყვით: „მოასვენეთ“, რაც პროკურატურის მოწმეთა ვარაუდით სწორედ აბანოში ჩაკეტვას გულისხმობდა. ამასთან მოწმეთა ჩვენებებით არც ის დასტურდება, რომ თავისუფლების აღკვეთის პერიოდში აბაზანაში პირობები უშუალოდ ბაჩანა ახალაიას მითითებით გაუარესდა (ამ შემთხვევაში იგულისხმება გათბობის გამორთვა).

### **7.2. ვაზიანის ეპიზოდთან დაკავშირებით**

საქმეში წარმოდგენილი იყო ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები, რომელიც დაცვისა და ბრალდების მხარეებმა წარმოადგინეს. დაუდგენელია ასევე ის გარემოება, თუ რომელი მხარე აძლევდა ცრუ ჩვენებას.

### **7.3. აბესაძის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდთან დაკავშირებით**

პროცესის მინდინარეობს დროს პროკურატურის სამმა ძირითადმა მოწმემ ჩვენება შეცვალა. მათი ახალი ჩვენება გამორიცხავდა ბაჩანა ახალაიას დანაშაულში მონაწილეობას. სამივე მოწმე საუბრობდა პროკურატურის მიერ განხორციელებულ ზეწოლაზე და ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემის იძულებაზე.

## **საქმე #2**

### **(ე.წ რეინჯერის კურსის საქმე)**

იაღლეუჯას სამხედრო ბაზაზე 7 სამხედრო მოსამსახურის წამებისა და დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობის ეპიზოდი.

### **1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი**

**ბაჩანა ახალაია** - თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი;

#### **წაყენებული ბრალი:**

1. სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე ნაწილი, მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები;

2. წამება, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, პოლიტიკური შეხედულებების გამო - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 1 პრიმა მუხლის მეორე ნაწილის ა.ბ.დ.ე.ვ ქვეპუნქტები;

3. დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ორი ან მეტი პირის მიმართ; ჯგუფურად და პოლიტიკური შეხედულებების გამო - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 სამი პრიმა მუხლის, მეორე ნაწილის ა.ბ.დ.ე.ვ ქვეპუნქტები.

**დავით ვეკუა** - შს სამინისტროს პირველი სამმართველოს უფროსი;

**დავით ჩუბინიძე** - შს სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის საკონტრაქტო თანამშრომელი;

**ალექსი დავითაშვილი, დავით გიორგაშვილი, რობერტ სუთიძე, ვლადიმერ ზანგიევა** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები;

**მამუკა აბაშიძე** - შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი.

### **წაყენებული ბრალი:**

1. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები;

2. წამება, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, პოლიტიკური შეხედულებების გამო - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 1 პრიმა მუხლის მეორე ნაწილის ა.ბ.დ.ე.ვ ქვეპუნქტები;

3. დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; ორი ან მეტი პირის მიმართ; ჯგუფურად და პოლიტიკური შეხედულებების გამო - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 სამი პრიმა მუხლის, მეორე ნაწილის ა.ბ.დ.ე.ვ ქვეპუნქტები.

## **2. რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად**

**რვა**<sup>5</sup> პიროვნებას ბრალი ედება იალღუჯას საწვრთნელ ბაზაზე შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი სამმართველოს შვიდი თანამშრომლის წამებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. ბრალდების თანახმად ბაჩანა ახალაია შეიტყო რა, რომ აღნიშნული პიროვნებები იყვნენ კოალიცია 'ქართული ოცნების' მომხრეები გადაწყვიტა მათი წამება და დამამცირებელი არაადამიანური მოპყრობა, რომლის ორგანიზებაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მოახდინა. 2012 წლის 18 აგვისტოს ბაჩანა ახალაია იმყოფებოდა პირველი სამმართველოს ტერიტორიაზე რა დროსაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ზ.ფ-ს, ხოლო დავით ვეკუამ დაამცირა და პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩააყენა 6 სხვა პიროვნება. მოგვიანებით აღნიშნულ პიროვნებებს დააწერინეს განცხადება სამსახურიდან

<sup>5</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

გათავისუფლების შესახებ, თუმცა შემდეგ გათავისუფლების ნაცვლად, ისინი იალღუჯას საწვრთნელ ბაზაზე გადაიყვანეს. იალღუჯას საწვრთნელ 'ბაზაზე გრძელდებოდა სამხედრო პირების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები.

### *3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები:*

#### **პროკურატურა:**

აღნიშნულ საქმეში დაზარალებულად ცნობილი პირები მიუთითებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა თავდაპირველად პირველი სამმართველოს ტერიტორიაზე ბაჩანა ახალაიასა და დავით ვეკუას მიერ, ხოლო ნორიოს ბაზაზე გადაყვანის შემდეგ გრძელდებოდა მათ წინააღმდეგ სხვადასხვა სახის ძალადობა. ამასთან ბრალდების მხარე აპელირებდა იმაზე, რომ აღნიშნული ქმედებები ხორციელდებოდა ბაჩანა ახალაიას მითითებით, რადგან დაზარალებულები წარმოადგენდნენ ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერებს.

ბაზაზე მიყვანის შემდეგ, დაზარალებულების განცხადებით, მათ ჩამოართვეს პირადი ნივთები დავით ჩუბინიძის მითითებით. მ.ყ-ს განცხადებით მას ჩანთაში უპოვეს მობილური ტელეფონი, რის გამოც მამუკა აბაშიძემ და ალექსი დავითაშვილმა ის სასტიკად სცემეს. ამის შემდეგ შვიდი პიროვნება წაიყვანეს სავარჯიშოდ და არბენინეს. სირბილის პროცესში მათ დამამცირებელ და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩააყენეს, ასევე მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ვარჯიშის შემდეგ ისინი 30 წუთის განმავლობაში ჩაკეტილი ჰყავდათ ბაზის ტერიტორიაზე მდებარე მიტოვებულ შენობაში. მათი გათავისუფლების შემდეგ ალექსი დავითაშვილმა მიასხა მათ წყლის ჭავლი. ზ.ფ-ს განცხადებით დავით ჩუბინიძემ მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ფეხების მიმართულებით გაუხსნა ცეცხლი. გარდა ამისა, ორ დაზარალებულს იარაღის კონდახით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. მოგვიანებით იგივე პირები ჩაყარეს ამოთხრილ ორმოში და მიწა დააყარეს. მოწმეთა ჩვენების თანახმად მათ მოახერხეს ორმოდან ამოსვლა რის შემდეგაც გაგრძელდა მათი წამება. აღსანიშნავია, რომ მოწმეთა მითითებით მათ მიმართ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს თან სდევდა სიტყვიერი შეურაცხყოფა მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო. დაზარალებულთა მიმართ არაადამიანური მოპყრობა გრძელდებოდა 2012 წლის 21 სექტემბრამდე.

#### **დაცვის მხარე:**

ერთ-ერთ პროცესზე მოწმე დ.ყ-მ განმარტა, რომ ე.წ რეინჯერის კურსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ჯარისკაცებზე ფსიქიკური ზეწოლა, რას შესაძლოა ასევე გამოხატულიყო სიტყვიერ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროკურატურა აპელირებდა იმაზე, რომ რეინჯერების კურსი არ არსებობდა შსს-ს სისტემაში. თავად ბრალდებული ბაჩანა ახალაიას განცხადებით - „დოკუმენტი არსებობდა შს სამინისტროში და პროკურატურას შეეძლო მისი გამოთხოვა თუმცა ამას შეგნებულად არ აკეთებდა“. <sup>6</sup> მოწმეებმა გ.კ., გ.ქ. და ზ.წ-მ დაადასტურეს რომ დაზარალებულები გადიოდნენ რეინჯერის კურსს იალღუჯას საწვრთნელ ბაზაზე და რომ შეურაცხმყოფელი ქმედებები იყო აღნიშნული კურსის ნაწილი.

ბრალდებულები უარყოფენ მათ მიმართ წაყენებულ ბრალს. დაცვის მხარემ პროცესზე მტკიცებულებად წარადგინა ნაწამები სამხედრო მოსამსახურეების ფოტო-სურათები,

<sup>6</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

<sup>7</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით



რომელიც იმ პერიოდშია გადაღებული როდესაც ბრალდების მიხედვით ისინი ნაწამები უნდა ყოფილიყვნენ. დაცვის მხარის მტკიცებით წარმოდგენილი ფოტო მასალით, რომლებიც ანტალიაში იყო გადაღებული, დაზარალებულებს არ ემჩნეოდათ ფიზიკური ძალადობის ნიშნები, მიუხედავად იმისა რომ დაზარალებულთა განცხადებით რამდენიმე მათგანი იმყოფებოდა მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში და არ შეეძლო გადაადგილება. დაცვის მხარის მტკიცებით შვიდივე დაზარალებულს გადაუხადეს ფულადი კომპენსაცია და რეაბილიტაციის ნაცვლად გაუშვეს თურქეთის ერთ-ერთ კურორტზე დასასვენებლად.

#### 4. პროცესის მიმდინარეობა

საქმეზე მიმდინარე პროცესის დროს ერთ-ერთი მოწმე დაკითხვისას (ს.ქ), დაცვის მხარის შუამდგომლობით მანდატურებმა ჩვენების მიცემის პროცესში შეამოწმეს და აღმოაჩინეს, რომ მას ხელის გულზე ეწერა დაზარალებულად ცნობილი პირების სახელები და გვარები.<sup>8</sup>

ასევე, ერთ-ერთი ბრალდებულის ალექსი დავითაშვილის განცხადებით მას გამოძიების ეტაპზე მოსთხოვეს ჩვენების მიცემა ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ და განუმარტეს, რომ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ მას ბრალს არ წაუყენებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი პროცესის განმავლობაში დაცვის მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ბრალდებულის დავით ჩუბინიძის მიმართ შეფარდებული პატიმრობის ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ. სასამართლომ იმსჯელა რა აღნიშნულ საკითხზე, გაითვალისწინა საქმის გარემოებები, დაასკვნა, რომ აღარ არსებობდა საშიშროება ბრალდებულის მიერ მტკიცებულებების განადგურების, მოწმეებზე ზეწოლის მოხდენის და შედეგად დააკმაყოფილა შუამდგომლობა. დავით ჩუბინიძეს შეეცვალა პატიმრობა და შეეფარდა აღკვეთი ღონისძიება გირაოს სახით 15 ათასი ლარის ოდენობით.

მხარეთა მიერ დასკვნითი სიტყვით გამოსვლის ეტაპზე, დაფიქსირდა ბრალდებულთა ადვოკატების მხრიდან შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება პროკურატურის მიმართ. კერძოდ ერთ-ერთმა ადვოკატმა პროკურორს საბჭოთა კავშირის გადმონაშთი უწოდა და მას წოდებით - ამხანაგი, მიმართა. ამასთან ადვოკატმა ბრალდების მხარე არაპროფესიონალიზმშიც დაადანაშაულა და პროკურატურას მტკიცებულებათა გაყალბებაში დასდო ბრალი.

**შენიშვნა:** აღსანიშნავია, რომ საქმეზე მიმდინარე ერთ-ერთი სხდომის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გარეთ იმართებოდა ბაჩანა ახალაიას საწინააღმდეგო აქცია. სხდომის დასრულების შემდეგ, როდესაც დარბაზში მყოფი პირები, მათ შორის ბაჩანა ახალაიას ახლობლები და მისი ადვოკატები, გამოვიდნენ სასამართლო შენობიდან მათ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამ უკანასკნელებმა აქციის მონაწილეებს იგივეთი უპასუხეს, რის შემდეგაც სიტყვიერი შელაპარაკება გადაიზარდა ფიზიკურ შეურაცყოფაში. ვითარების კიდევ უფრო გაუარესების თავიდან აცილების მიზნით საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ხულიგნობისთვის დააკავეს რამდენიმე პიროვნება.

#### 5. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. აღნიშნულის საფუძველს

<sup>8</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

წარმოადგენდა ბრალდების სიმძიმე, ბრალდებულთა პიროვნებები და საშიშროება იმის რომ ისინი ნეგატიურ გავლენას მოახდენდნენ საქმის მიმდინარეობაზე, მოწმეებზე ზეწოლისა თუ მტკიცებულებათა განადგურების მხრივ.

**დაცვის მხარის პოზიცია:** დაცვის მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას, არ გაიზიარა რა ბრალდების პოზიცია ბრალდებულთა მიმართ საქმის მიმდინარეობისთვის შესაძლო ხელის შეშლის შესახებ.

#### **განჩინება:**

ბაჩანა ახალაიას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა (აღსანიშნავია რომ სხვა საქმეზე ბაჩანა ახალაიას უკვე ჰქონდა პატიმრობა შეფარდებული). ხუთ ბრალდებულს: დავით ვეკუას, მამუკა აბაშიძეს, ვლადიმერ ზანგიევას, დავით გიორგაშვილს და რობერტ სუთიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო. დავით ჩუბინიძეს და ალექსი დავითაშვილს თავდაპირველად შეეფარდათ პატიმრობა, მოგვიანებით ორს: დავით ჩუბინიძეს და ალექსი დავითაშვილს ბრალდების მხარის მტკიცებულებების სასამართლოში გამოკვლევის შემდეგ დაცვის მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა შეეცვალათ გირაოთი.<sup>9</sup>

## **6. განაჩენი**

აღნიშნულ საქმეზე განაჩენი არ გამოტანილა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მხარეთა დასკვნითი სიტყვების მოსმენა.

## **7. ჩვენი დაკვირვება:**

დაზარალებულები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ ხორციელდებოდა ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, მათ შორის თავად ბაჩანა ახალაიას მიერ. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში დაზარალებულს ხელის გულზე ჰქონდა დაწერილი სხვა დაზარალებულების ვინაობა, რაც ობიექტური დამკვირვებლისთვის მისი ჩვენების მიმართ კითხვის ნიშნებს უჩენს. ასევე ბრალდების ერთ-ერთმა მოწმემ ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ მას აიძულეს ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ გამოსვლა, თუმცა იძულების ფაქტი დადასტურებული არ არის. დაცვის მხარის მოწმეთა განცხადებით ფსიქიკური ძალადობა იყო შემადგენელი ნაწილი ე.წ რეინჯერის კურსისა, თუმცა სამწუხაროდ პროცესზე არ იქნა წარმოდგენილ კონკრეტული დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული კურსის მომზადების მეთოდოლოგია იქნებოდა ჩამოყალიბებული.

### **საქმე #3**

#### **(ე.წ ციხის ბუნტის საქმე)**

2006 წლის 26-27 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პირველ, მე-5 და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებებში მომხდარი ე.წ. ციხის ბუნტის ეპიზოდი.

## **1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი**

<sup>9</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

**ბაჩანა ახალაია** - თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავჯდომარე.

**მეგის ქარდავა** - თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი.

**რევაზ ჭარბაძე** - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

**დავით ჭაკუა** - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, საქვეუწყებო დაწესებულების-სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მ/შ.

### **წაყენებული ბრალი:**

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის ”ბ” და “გ” ქვეპუნქტები.

## **2. რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად**

ბრალდების თანახმად ბაჩანა ახალაიამ ჩამოაყალიბა გეგმა, რომლის თანახმადაც საზოგადოებაში უნდა შექმნილიყო შთაბეჭდილება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პირველ, მე-5 და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებებში მსჯავრდებულთა მიერ ბუნტის დაგეგმვის შესახებ. აღნიშნული გეგმის მიზანს წარმოადგენდა ბაჩანა ახალაიას მიერ პატიმრების წამებისა და მათდამი სასტიკი მოპყრობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გაქარწყლება. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ გეგმის მონაწილეებმა პ.მ-მ, ზ.ვ.-მ, გ.ა-მ და ლ.ც-მ არ შეასრულეს გეგმით გათვალისწინებული ქმედებები, რის გამოც მათ ბრალდებულებმა მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხოფა. დამამცირებელი ქმედებები ასევე ხორციელდებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მოთავსებული სხვა პირების დასანახად, რასაც ბრალდების თანახმად არეულობა მოჰყვა როგორც სამკურნალო, ისე პირველ და მეხუთე დაწესებულებებში, რაც გადაიზარდა ბუნტში.

## **3. საქმეში არსებული მტკიცებულებები**

აღნიშნული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე ბრალდების მტკიცებულებებს წარმოადგენს მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც მათი განცხადებით იყვნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიმდინარე მოვლენათა მომსწრენი.

მოწმეთა დაკითხვა სასამართლო პროცესზე ჯერ არ გამართულა.

## **4. პროცესის მიმდინარეობა**

საქმეზე ჩატარდა სხდომა, რომელზეც აღმკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი განიხილეს. 2013 წლის ივლისის თვეში ჩატარდა წინასასამართლო სხდომა. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბაჩანა ახალაიას ბრალდებულად ცნობის შესახებ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით. პროცესი გადაიდო აღნიშნულ შუამდგომლობაზე ბრალდების მხარის პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით.

## **5. რა სახის აღკვეთი ღონისძიება შეეფარდა**

**პროკურატურის შუამდგომლობა:** პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ბაჩანა ახალაიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ.

ბრალდების პოზიციით არის საშიშროება იმისა, რომ ბრალდებული გავლენას მოახდენს მოწმეებზე.

**დაცვის მხარის პოზიცია:** დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას. დაცვა ძირითადად იმაზე აპელირებდა, რომ ბაჩანა ახალაიას აღმკვეთ ღონისძიების სახით პატიმრობა სხვა საქმეზე უკვე რამოდენიმეჯერ ჰქონდა შეფარდებული, შესაბამისად კიდევ ერთი პატიმრობის გამოყენება იქნებოდა კანონის დარღვევა. ამასთანავე ვინაიდან ბაჩანა ახალაია უკვე პატიმრობაში იმყოფებოდა არ არსებობდა მოწმეებზე ზემოქმედების რისკიც.

**განჩინება:** მოსამართლემ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ბაჩანა ახალაიას აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. პატიმრობა ასევე სხვა ბრალდებულებსაც შეეფარდათ.

**შენიშვნა:** ბრალდებული მეგის ქარდავა, როგორც ცნობილია იმყოფება მიმაღვაში.

## 6. განაჩენი

საქმეზე განაჩენი არ მიღებულა. არ ჩატარებულა საქმის არსებითი განხილვის სხდომა.

## 7. ჩვენი დაკვირვება

ამ ეტაპზე არ ჩატარებულა საქმის არსებითი განხილვა და არც მოწმეებს მიუციათ ჩვენება. შესაბამისად ჩვენი გაკვირვების წარმოდგენა ამ დროისთვის ვერ მოხდება.

## გიგი უგულავა და დავით კეზერაშვილი

### 1. ტელეკომპანია იმედის ეპიზოდი

ჯოზეფ ქეის მიერ ტელეკომპანია იმედის წილზე უარის თქმისა და მისი ხელისუფლებასთან დაახლოებული პირის საკუთრებაში გადასვლის ეპიზოდი.

#### 1.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

**გიგი უგულავა** - ქ.თბილისი მერი (მოქმედი);

**დავით კეზერაშვილი** - თავდაცვის მინისტრი;

#### წაყენებული ბრალი:

განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი მესამე ნაწილის “გ” ქვეპუნქტი.

#### 1.2 რაში გამოიხატებოდა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად

2008 წლის მდგომარეობით შპს „ტელე იმედი“ საკონტროლო წილის მფლობელი იყო ჯოზეფ ქეი, რომელსაც იმ დროისათვის ტელეკომპანიის ფუნქციონირებისათვის დახარჯული ჰქონდა

10 მლნ აშშ დოლარი. ბრალდების მტკიცებით, ხელისუფლების სახელით ჯოზეფ ქეის შეხვდა დავით კეზერაშვილი და მუქარით დაიყოლია ტელეიმედის დათმობაზე, ამასთან მისცა პირობა რომ მას გიორგი უგულავა აუნაზღაურებდა გაწეული 10 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ხარჯებს.

კერძოდ, ბრალდების თანახმად, გიორგი უგულავას მითითებით ჯოზეფ ქეიმ თავისი წილი გადასცა დავით კეზერაშვილის კონტროლს დაქვემდებარებულ პანამაში რეგისტრირებულ კომპანია „Bordex Limited“. ამის შემდეგ გიორგი უგულავა მოელაპარაკა შპს „ახალი რიყის“ მესაკუთრეებს, რომ მათ მიერ 2006 წელს 7 000 000 აშშ დოლარად შეძენილ რიყის ტერიტორიას მერია ვითომდა 17 000 000 აშშ დოლარად უკან გამოისყიდა, საიდანაც 10 000 000 აშშ დოლარი გათვალისწინებული იყო ჯოზეფ ქეისათვის გადასაცემად. ქალაქის მერიამ 2008 წლის 29 დეკემბერს, ქ. თბილისის მთავრობის სახელით გამოსცა დადგენილება, რომლის საფუძველზეც თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული „ძველი ქალაქის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდიდან“ რიყის ტერიტორიის უკან გამოსყიდვის მიზნით შპს „ახალ რიყეს“ გადაერიცხა 17 000 000 აშშ დოლარი. ამის შემდეგ შპს „ახალი რიყეს“ ხელმძღვანელობასა და ჯოზეფ ქეის კომპანიას „Lakebrow Limited“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „ახალი რიყეს“ საბანკო ანგარიშიდან ჯოზეფ ქეის კომპანიას ჩაერიცხა 8 811 189 აშშ დოლარი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გამოძიებამ დაასკვნა რომ ტელეკომპანია “იმედი“ მისაკუთრებული იქნა ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისებისა და შემდგომი გათეთრების გზით.

ბრალდების თანახმად დავით კეზერაშვილის მონაწილეობა აღნიშნულ საქმეში გამოიხატა შემდეგში: დავით კეზერაშვილი ხელისუფლების სახელით შეხვდა ჯოზეფ ქეის და პირდაპირი მუქარით დაიყოლია ტელეიმედის დათმობაზე, ერთადერთი პირობით, რომ მას გიორგი უგულავა აუნაზღაურებდა მის მიერ გაწეული 10 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ხარჯებს. გიორგი უგულავას მითითებით ჯოზეფ ქეიმ თავისი წილი გადასცა დავით კეზერაშვილის კონტროლს დაქვემდებარებულ პანამაში რეგისტრირებულ კომპანია „Bordex Limited“-ს.

### *1.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:*

გიორგი უგულავასა და დავით კეზერაშვილს ბრალი წარედგინათ ჯოზეფ ქეის ორ ჩვენებაზე დაყრდნობით, რომელიც მან მისცა სტამბულში არსებულ საქართველოს საკონსულოში. ჩვენებაში ჯოსეფ ქეი საუბრობს ბრალდებულთა მიერ შემუშავებულ სქემაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ჯოზეფ ქეის საკუთრებაში არსებული ტელეკომპანია იმედის წილების მისაკუთრებას. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე არ ჩატარებულა საქმის არსებითი განხილვა, შესაბამისად ჯოზეფ ქეი სასამართლო პროცესზე ჩვენება არ მიუცია. ამ ეტაპზე საქმეში მხოლოდ მის მიერ პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებაა წარმოდგენილი.

## 2. ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების საქმიანობის საბიუჯეტო თანხებიდან დაფინანსების ეპიზოდი

### 2.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

გიგი უგულავა - ქ. თბილისი მოქმედი მერი

#### წაყენებული ბრალი:

დიდი ოდენობით სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა<sup>10</sup> - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეხამე ნაწილის “ზ” ქვეპუნქტი;

### 2.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის თანახმად

გიორგი უგულავას ასევე ბრალი ედება საბიუჯეტო თანხების გამოყენებით პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობის დაფინანსებაში, რომლის ორგანიზატორი პროკურატურის მტკიცებით სწორედ უგულავა იყო. კერძოდ, მისი დავალებით 2009 წლის 31 დეკემბერს, შპს „თბილსერვის ჯგუფ“-ში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებისათვის ფულის დარიგების მიზნით სპეციალურად შეიქმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“, სადაც ფიქციურად გაფორმდა 764 აქტივისტი - ე.წ. პარტიული კოორდინატორი. უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია და რეალურად კი პარტიულ საქმიანობას ეწეოდა. მიუხედავად ამისა, მათ დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ ხელფასის სახით 4 130 728 ლარი დაერიცხათ.

### 2.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები

ამ დროისთვის მტკიცებულებათა განხილვის ეტაპი არ ჩატარებულა. თუმცა სასამართლომ განიხილა დაცვისა და ბრალდების მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი (22 და 58 ტომი), რომლის ფარგლებშიც დაცვის მხარემ ითხოვა ბრალდების რიგი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა. რადგან ისინი მოპოვებული იყო კანონმდებლობის დარღვევით. იხ.ქვემოთ.

## 4. პროცესის მიმდინარეობა

სასამართლოს კითხვაზე სურდა თუ არა ბრალდებულს საქმე განსახილველად გადასცემოდა ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს, ბრალდებულმა განაცხადა უარი, რადგან საზოგადოებაში ჩამოყალიბებული იყო არასწორი შეხედულება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, რაც ნაფიც-მსაჯულთა მიერ არაობიექტური გადაწყვეტილების გამოტანის საფრთხეს ქმნიდა.

**დაცვის მხარის შუამდგომლობა:** დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ნ. ბ-ს ჩვენების დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით. მხარის არგუმენტაციას კი წარმოადგენდა ის, რომ მოწმის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემულ ჩვენებებს შორის იყო არსებით სხვაობა.

**ბრალდების მხარის პოზიცია:** ბრალდების მხარის პოზიციით ის არგუმენტი, რომ ნ. ბ-მ არსებითად შეცვალა თავდაპირველი ჩვენება და გააკეთა ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები არასწორია.

<sup>10</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

**განჩინება:** სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ ეტაპზე სასამართლო არ შედიოდა მოწმის ჩვენების შინაარსის განხილვაში და შესაბამისად ვერ შეაფასებდა ჩვენებებს შორის მართლაც არსებობდა თუ არა სხვაობა. სასამართლოს განმარტებით აღნიშნული წარმოადგენდა არსებითი განხილვის საგანს. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, მტკიცებულება დასაშვებად იქნა ცნობილი.

### დაცვის მხარის შუამდგომლობა:

დაცვის მხარის პოზიციით ჯოსეფ ქეის პირველი დაკითხვა, რომელიც 2013 წლის 15 თებერვალს თურქეთის ტერიტორიაზე შედგა განხორციელდა უკანონოდ. კერძოდ, ბრალდების მხარეს არ ჰქონდა უფლებამოსილება დაეკითხა ა.შ.შ-ს მოქალაქე პირი, რომელიც იმყოფებოდა ქ. სტამბულში, საქართველოს საკონსულოში. საქართველოს საკონსულო თურქეთში არ არის საქართველოს ტერიტორია არამედ წარმოადგენს თურქეთის ტერიტორიას (წარმოადგინეს შესაბამისი ნორმატიული მასალა და არგუმენტები). ვინაიდან, დაკითხვა განხორციელდა თურქეთის ტერიტორიაზე საჭირო იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართვა უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოსთან. შესაბამისად დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ დაკითხვა კანონიერად არ მომხდარა. დაცვის მხარემ ჯოსეფ ქეის მეორე დაკითხვაც სადავო გახადა. მათი განმარტებით, დაკითხვის ოქმი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ვინაიდან იგი ეყრდნობა პირველი დაკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. დაცვის მხარის განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ პირველი დაკითხვის ოქმი უკანონოდ არის მოპოვებული, მასზე დაფუძნებული დამატებითი ოქმიც სასამართლოს მიერ დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. *დაცვის მხარე ასევე მიუთითებდა იმაზე, რომ მეორე ჩვენებაში სიტყვა-სიტყვით იყო გადატანილი 600 სიტყვა პირველი ჩვენებიდან, რაც წარმოადგენდა მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას.* დაცვის მხარემ ექსპერტიზის დასკვნაც წარმოადგინა, რომელიც ადასტურებდა, რომ მეორე დაკითხვის ოქმში 600 სიტყვა პირველი დაკითხვის ოქმიდან იყო კოპირებული. აღნიშნული ექსპერტის დასკვნა სასამართლომ ცნო დასაშვებ მტკიცებულებად და საქმის მასალებს დაურთო.

### ბრალდების მხარის პოზიცია:

ბრალდების მხარე არ დაეთანხმა დაცვის მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს და განაცხადა, რომ პირველი დაკითხვა მიმდინარეობდა, ჯოსეფ ქეის 2 ადვოკატის თანდასწრებით. რაც შეეხება ჯოსეფ ქეის მეორე ჩვენებას, ის იყო პირველი ჩვენებისგან დამოუკიდებლად მოპოვებული. შესაბამისად პირველი ჩვენება სასამართლოს რომც ჩაეთვალა უკანონო გზით მოპოვებულად, მეორე ჩვენება მაინც დასაშვებად უნდა ჩათვლილიყო ცნობილი. პირველ და მეორე ჩვენებებს შორის მსგავსების ფაქტზე ბრალდების მხარეს კომენტარი არ გაუკეთებია.

**განჩინება:** სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ. კერძოდ, ამორიცხულ იქნა ჯოსეფ ქეის 2013 წლის 15 თებერვლის ჩვენება. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული მტკიცებულება მოპოვებული იქნა საპროცესო ნორმების დარღვევით. სასამართლომ განმარტა, რომ საქ. საკონსულო არ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიას და ბრალდების მხარე ვალდებული იყო მიემართა თურქეთისთვის სამართლებრივი დახმარების შესახებ და ემოქმედა ისე როგორც საზღვარგარეთ პირთა დაკითხვა განსაზღვრულია საპროცესო კანონმდებლობით. ჯოსეფ ქეის მეორე ჩვენება რომელიც მოპოვებულ იქნა თბილისში ცნობილ იქნა დასაშვებ მტკიცებულებად.

**დაცვის მხარის შუამდგომლობა:** დაცვის მხარემ ასევე დააყენა შუამდგომლობა პაატა სირაძის და გიორგი ისაკაძის მოწმეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ. აღნიშნული მოწმეების დაკითხვა განხორციელდა ღამის საათებში, რაც კანონმდებლობით მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაშია დასაშვები. დაცვის მხარის მტკიცებით მოცემულ შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობა არ არსებობდა.

**ბრალდების მხარის პოზიცია:** პროკურატურის განცხადებით მტკიცებულებები უნდა ჩათვლილიყო დასაშვებად და მოწმეები შეტანილ უნდა ყოფილიყვნენ დასაკითხ პირთა სიაში რადგან მათი ღამის საათებში დაკითხვა გამომდინარეობდა გადაუდებელი აუცილებლობიდან.

**განჩინება:** აღნიშნული პირების ღამის საათებში დაკითხვა სასამართლომ არ მიიჩნია საკმარის საფუძვლად მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობისათვის. შესაბამისად დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ჩვენებები დაერთო საქმის მასალებს.

**დაცვის მხარის შუამდგომლობა:** პროცესის მიმდინარეობისას დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულის დავით კეხერაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე. დაცვის მხარის მტკიცებით არ დასტურდებოდა დავით კეხერაშვილის ჯოზეფ ქეისთან შეხვედრის ფაქტი, რის გამოც არ არსებობდა მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი.

**ბრალდების მხარის პოზიცია:** ბრალდების მხარე არ დაეთანხმა დაცვის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას. მისი პოზიციის დასასაბუთებლად პროკურატურის წარმომადგენელმა დაიწყო ჩვენების განხილვა, დაცვის მხარემ კი გააპროტესტა და მიუთითა იმაზე, რომ მოცემულ ეტაპზე არ უნდა მომხდარიყო მტკიცებულების არსებითად განხილვა და მისი შინაარსის გაჟღერება. მოსამართლემ მიიღო პროტესტი.

**განჩინება:** არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა. მოსამართლემ ჩათვალა, რომ როგორც შპს „თბილსერვისცენტრის“ ისე ტელეკომპანია „იმედის“ შემთხვევაში შეინიშნებოდა კეხერაშვილის მიერ სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების შესაძლო ჩადენის ნიშნები.

## 5. გამოყენებული ადვოკატის ღონისძიება

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** პროკურატურა შუამდგომლობდა გიორგი (გიგი) უგულავას მიმართ გირაოს სახით ერთი მილიონი ლარის შეფარდების შესახებ. აღნიშნულის საფუძველს კი წარმოადგენდა თავად ბრალდების სიმძიმე, და გიორგი უგულავას პიროვნება და მისი შემოსავალი.

**დაცვის მხარის პოზიცია:** დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მიერ დაყენებულ შუამდგომლობას. მისი განმარტებით გირაოს სახით 1000000 ლარის დაკისრება, მხოლოდ იმ მოტივით, რომ უგულავას 5 წლის განმავლობაში ხელფასის სახით 500000 ლარის ოდენობით შემოსავალი ჰქონდა, წარმოუდგენელი იყო, რადგან უნდა მომხდარიყო იმ ფაქტის გათვალისწინებაც, რომ გიორგი უგულავას ჰყავს 5 მცირეწლოვანი შვილი. დაცვის მხარე ასევე აღნიშნავდა, რომ ადვოკატის ღონისძიების გამოყენების საჭიროება არ იკვეთებოდა, რამდენადაც ბრალდებულ გიგი უგულავას ამ პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე ჰქონდა ქვეყნის ტერიტორია დატოვებული და იგი ყველაფრის მიუხედავად დაბრუნდა საქართველოში, რადგანაც იგი თავს უდანაშაულოდ თვლის, თანამშრომლობს გამოძიებასთან და აპირებს საკუთარი უდანაშაულობის სასამართლოში დამტკიცებას.



**განჩინება:** სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობა, იმ მიზეზით, რომ ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძვლები. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბრალდებულ გიორგი უგულავას მხრიდან მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, ასევე, პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედების და გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხე.

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** ბრალდების მხარემ ასევე იშუამდგომლა აკრძალულიყო თბილისის მერისთვის საქართველოს საზღვრის გადაკვეთა და დაკისრებოდა საგამომიებო უწყებაში ყოველკვირეული გამოცხადების ვალდებულება.

**დაცვის მხარის პოზიცია:** დაცვის მხარემ განაცხადა, რომ შუამდგომლობა მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს, ხოლო პროკურატურის მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკური ოპონენტის დამცირება. დაცვის მხარემ ასევე აღნიშნა, რომ რადგანაც ბრალდებული იყო ქალაქის მერი მას სამსახურეობრივი მოვალეობებიდან გამომდინარე ხშირად უწყვედა მივლინებებში სიარული, რის გამოც წარმოუდგენელი იქნებოდა მსგავსი შეზღუდვის დაკისრება.

**განჩინება:** შუამდგომლობები არ დააკმაყოფილდა. შედეგად გიორგი უგულავას მიმართ არ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოში ასევე წარდგენილი იყო შუამდგომლობა გიორგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე. სასამართლოს განჩინებით ბრალდების მხარეს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და გიორგი უგულავა არ იქნა გადაყენებული თანამდებობიდან, იმის გამო რომ ბრალდების მხარის მიერ შუამდგომლობაში მითითებული თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლები იყო ზოგადი და დაუსაბუთებელი.

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** დავით კეზერაშვილთან დაკავშირებით, პროკურატურამ მოითხოვა მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება, რადგან იგი არ იყო გამოცხადებული პროცესზე, შესაბამისად იყო ეჭვი რომ იგი ემალებოდა სასამართლოს.

**დაცვის მხარის პოზიცია:** დავით კეზერაშვილის ადვოკატი არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განაცხადა, რომ სასამართლოს კეზერაშვილისთვის პატიმრობა არ უნდა შეეფარდებინა, ამის მაგივრად შესაძლებელია გამოეყენებინა გირაო. მან ასევე აღნიშნა, რომ კეზერაშვილი არ იყო გაქცეული ქვეყნიდან და არც გამოძიებისგან და სასამართლოსგან იმალებოდა, უბრალოდ დროის სიმცირის გამო ვერ მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა.

*აღსანიშნავია, რომ ბრალდებულთა ინტერესების დამცველმა მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა კომენტარი დავით კეზერაშვილის მიმართ პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობაზე, რაც მოსამართლემ მას შეახსენა, რომ ის გიორგი უგულავასთან ერთად იცავდა ასევე დავით კეზერაშვილის ინტერესებსაც.*

**განჩინება:** პროკურატურის შუამდგომლობა დავით კეზერაშვილის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა. აღსანიშნავია, რომ დავით კეზერაშვილმა დატოვა ქვეყნის ტერიტორია და მასზე ძებნაა გამოცხადებული.

## 6. განაჩენი:

საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ გამოცხადებულა. პროცესი დღემდე მიმდინარეობს, დაწყებულია არსებითი განხილვა.

## 7. ჩვენი დაკვირვება

### 7.1. ტელეკომპანია იმედის ეპიზოდი

აღსანიშნავია, რომ ბრალდება ძირითადად მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობა. ამასთან პროცესის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ ბრალდების ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულება კანონდარღვევით იყო მოპოვებული, რის გამოც ის ბათილად იქნა ცნობილი.

### 7.2. ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების საქმიანობის საბიუჯეტო თანხებიდან დაფინანსების ეპიზოდი

საქმეში წარმოდგენილი მოწმეები საკმაოდ მრავალფეროვან ჩვენებებს აძლევდნენ. ამ ეტაპზე საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბრალდებულთა მიმართ აღმკვეთი ღონისძიების საკითხის განხილვისას ბრალდებულთა ადვოკატი მხოლოდ გიგი უგულავაზე ამხვილებდა ყურადღებას და მხოლოდ მისი შემთხვევიდან გამომდინარე საუბრობდა. მოსამართლემ დაცვის მხარის ადვოკატს შეახსენა, რომ ის ასევე იცავდა დავით კეზერაშვილს. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო დამცველმა დავით კეზერაშვილის ინტერესებზე საუბარი.

## ვანო მერაბიშვილი

### საქმე #1

#### 1. სანდრო გრიგვლიანის ეპიზოდი

სანდრო გრიგვლიანის სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებისთვის ხელის შეშლის ეპიზოდი.

##### 1.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

ვანო მერაბიშვილი - შინაგან საქმეთა მინისტრი; საქართველოს პრემიერ მინისტრი.

##### წაყენებული ბრალი:

წამება ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გამოყენებით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 1 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები;

სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

## 1.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად

ბრალდების მტკიცებით ვანო მერაბიშვილი მოქმედებდა რა დაკისრებული მოვალეობებისა და საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, უკანონო ჩარევის გზით და ერთიანი განზრახვით გავლენას ახდენდა სანდრო გირგვლიანის სიცოცხლისა და თავისუფლების ხელყოფის სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების მთელ პროცესში მიკერძოებული და არაობიექტური სამართალწარმოების უზრუნველყოფისათვის. შემდეგ კი, საქმეზე დაკავებული პირების მიერ სასჯელის მოხდის მთელ პერიოდში აწესებდა უკანონო შეღავათებს მსჯავრდებულთათვის და ხელი შეუწყო სასჯელისაგან მათ ვადამდე გათავისუფლებას.

### 1.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

ამ ეტაპზე საქმეზე ჩატარებულია მხოლოდ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ პროცესი. პროცესზე მტკიცებულებები ჯერ არ წარმოდგენილა. მიუხედავად ამისა სანდრო გირგვლიანის ეპიზოდთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით საქმეზე არსებობს რამდენიმე ათეული პირის ჩვენება, მათ შორის ნინო ბურჯანაძის, რომლებიც დაედო საფუძვლად გამოძიების დაწყებასა და მოგვიანებით ივანე მერაბიშვილის ბრალდებულად ცნობას. საქმეში არსებობს ასევე წერილობითი და ნივთიერი სახის მტკიცებულებები, როგორცაა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება (მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ), შსს მინისტრისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მიმართვის წერილები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე 'ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ' და სხვა.

## 2. 26 მაისი ეპიზოდი

### 2.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

2011 წლის 26 მაისი საპროტესტო აქციის კანონსაწინააღმდეგო მეთოდებით დაშლის ეპიზოდი.

**ვანო მერაბიშვილი** - შინაგან საქმეთა მინისტრი; საქართველოს პრემიერ მინისტრი.

#### წაყენებული ბრალი:

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის “ბ” და “გ” ქვეპუნქტები.

### 2.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად

ბრალდების მტკიცებით, ვანო მერაბიშვილის უშუალო დავალებითა და ხელმძღვანელობით დაიგეგმა 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლა არალეგიტიმური ღონისძიებების გამოყენებით, კერძოდ ბრალდების თანახმად აქციის დაშლა არ მომხდარა პროპორციული ძალის გამოყენებით, არამედ ხდებოდა თავდასხმა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებზე, რომლის გამოკვეთილი მიზანი იყო დემონსტრანტების მასობრივი დაკავება, დაშინება, დასჯა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების განხორციელება.

### 2.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

ამ ეტაპზე საქმეზე ჩატარებულია მხოლოდ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ პროცესი. პროცესზე მტკიცებულებები ჯერ არ წარმოდგენილა. პროკურატურის განმარტებით საქმეში არსებობს მოწმეთა ჩვენები ისევე როგორც სხვა სახის მტკიცებულები, როგორცაა მაგალითად, შსს სამინისტროს 15 თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური აქტები.

#### **4. პროცესის მიმდინარეობა:**

გამართა მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სხდომები.

#### **5. რა სახის აღკვეთი ღონისძიება შეეფარდა:**

ბრალდებულს არ შეეფარდა აღკვეთი ღონისძიების არცერთი სახე. აღსანიშნავია, რომ მას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა ამომრჩევლის მოსყიდვისა და მითვისება გაფლანგვის საქმეზე (იხ.ქვემოთ) შესაბამისად, იგი უკვე პატიმრობაში იმყოფებოდა და თბილისის საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ დამატებითი აღკვეთი ღონისძიების გამოყენების საჭიროება არ იდგა.

#### **6. განაჩენი:**

საბოლოო გადაწყვეტილება საქმეზე არ მიღებულა.

#### **7. ჩვენი დაკვირვება (საქმის ორივე ეპიზოდზე)**

ვინაიდან ჯერ საქმის არსებითი განხილვა არ ჩატარებულა, ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა უფლებების რეალიზაციის შეფასება. ჩვენი დაკვირვების მიხედვით, პროცესზე არ დაფიქსირებულთა დაცვის მხარის შეზღუდვის შემთხვევა, მხარეთა შეჯიბრობითობა და მხარეთა თანასწორობა დაცული იყო.

## **საქმე #2**

### **1. ამომრჩევლთა მოსყიდვის ეპიზოდი**

პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ ამომრჩევლთა მოსყიდვის მიზნით ბიუჯეტიდან გახარჯული 5,2 მლნ ლარი, რომელიც გამოყოფილი იყო დასაქმების სახელმწიფო პროგრამის დასაფინანსებლად.

#### **1.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი**

**ვანო მერაბიშვილი** - შინაგან საქმეთა მინისტრი; საქართველოს პრემიერ მინისტრი;

#### **წაყენებული ბრალი:**

ამომრჩევლის მოსყიდვა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე ერთი პრიმა მუხლი.

მითვისება ან გაფლანგვა დიდი ოდენობით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი;

**ზურაბ ჭიაბერაშვილი** - ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავჯდომარე; თბილისის მერი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი; კახეთის მხარის გუბერნატორი .

### **წაყენებული ბრალი:**

ამომრჩევლის მოსყიდვა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე ერთი პრიმა მუხლი.

### **2.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად**

პროკურატურის მტკიცებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის, აგრეთვე სახელმწიფო სახსრებით დასახელებული პარტიის შენიღბული და ფარული დაფინანსების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ზურაბ ჭიაბერაშვილთან და სხვა პირებთან ერთად დაგეგმა და განახორციელა ოპერაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოში უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან 5,2 მლნ ლარი უკანონოდ ჩაერიცხა დაახლოებით 22 ათას პირს, თითოეულს 240 ლარის ოდენობით. ბრალდების მტკიცებით მითითებული პირები მოჩვენებითად გააფორმეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომლები, სინამდვილეში, მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ, ხოლო ფული მიიღეს მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ხმის მიცემისა და საარჩევნო აგიტაციის წარმოების სანაცვლოდ. ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდება ასკვნის, რომ ივანე მერაბიშვილის ქმედებით სახელმწიფომ იზარალა 5,2 მლნ ლარი.

### **2.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები**

ამ ეტაპზე საქმეზე ჩატარებულია მხოლოდ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ პროცესი. მტკიცებულებათა წარდგენა და განხილვა არ მომხდარა, თუმცა ბრალდების განცხადებით საქმეზე დასაკითხია 18 ათასი მოწმე, რომელთა დაკითხვაც ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.

## **2. აგარაკის მისაკუთრების ეპიზოდი**

შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ კუთვნილი ფემენებელური აგარაკის მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ დაკავებისა და სარგებლობის ეპიზოდი.

### **2.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი**

**ვანო მერაბიშვილი** - შინაგან საქმეთა მინისტრი; საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

### **წაყენებული ბრალი:**

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე ნაწილი.

### **2.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად**

ბრალდების თანახმად ივანე მერაბიშვილმა 2009 წლის მაისში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით და დაშინებით დაიკავა შპს “საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის” კუთვნილი ფემენებელური აგარაკი. ის ოჯახთან ერთად, თითქმის ოთხი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ სარგებლობდა ამ ქონებით. მანვე, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და სხვისი აგარაკის საკუთარი ოჯახის წევრების გემოვნებით მოწყობის მიზნით, გაარემონტა იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებით. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ივანე მერაბიშვილის მიერ გამოყენებულ იქნა საიდუმლო ხარჯები, რომლითაც, კანონის თანახმად, უნდა დაფინანსებულიყო დანაშაულთან ბრძოლისათვის გათვალისწინებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებები. მისივე განკარგულებით, სამინისტროს ბიუჯეტიდან იფარებოდა აგარაკზე მომუშავე დამხმარე პერსონალის სახელფასო ანაზღაურებაც. შედეგად, სახელმწიფოს მიადგა 158 ათასი ლარის ზიანი (მეორე და მესამე ეპიზოდები).

### 2.3. საქმეში არსებული მტკიცებულებები

ამ ეტაპზე საქმეზე ჩატარებულია მხოლოდ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ პროცესი. მტკიცებულებათა წარდგენა და განხილვა არ მომხდარა, თუმცა ბრალდების განცხადებით საქმეზე დასაკითხია რამდენიმე მოწმე.

### 4. პროცესის მიმდინარეობა

გაიმართა აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ სხდომები. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ პროცესის მიმდინარეობის პარალელურად სასამართლო შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე იმართებოდა ბრალდებულთა მხარდამჭერი, ისევე როგორც მათ საწინააღმდეგოდ მიმართული აქციები.

### 5. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** ბრალდების მხარე შუამდგომლობდა ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. ბრალდების მტკიცებით დაკავების აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ ვარაუდით, რომ შეიძლებოდა საზღვარი გადაეკვეთათ და მიმალულიყვნენ, მოეხდინათ გავლენა მოწმეებზე და თავი აერიდებინათ გამოძიებისათვის.

**დაცვის მხარის პოზიცია:** დაცვის მხარეს არ იზიარებდა ბრალდების მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციას, და მიაჩნდა, რომ ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საჭიროება არ არსებობდა.

**განჩინება:** სასამართლომ იმსჯელა რა აღნიშნულ საკითხზე, გაითვალისწინა ბრალდების არსი, ბრალდებულთა პიროვნება მათ მიერ მტკიცებულებების მოპოვებასა თუ მოწმეებზე ზეწოლის საშიშროება ვანო მერაბიშვილის შეუფარდა აღკვეთი ღონისძიება პატიმრობის სახით, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილს კი - გირაო 20 ათასი ლარის ოდენობით.

### 6. განაჩენი:

საბოლოო გადაწყვეტილება საქმეზე არ მიღებულა.

## 7. ჩვენი დაკვირვება (საქმის ორივე ეპიზოდზე)

ამ დროისთვის არ დაწყებულა საქმის არსებითი განხილვა. აღსანიშნავია, რომ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას პროკურატურამ აღნიშნა, რომ ჯერ არ დაკითხულა ყველა მოწმე, საქმეში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები და აუცილებელი იყო ვანო მერაბიშვილისთვის პატიმრობის შეფარდება, რათა მას არ ჰქონოდა მოწმეებზე ზემოქმედების შესაძლებლობა.

### ირაკლი ოქრუაშვილი

უხარისხო ვაზნების შექმნა თავდაცვის სამინისტროსთვის. ვაზნების საერთო რაოდენობა 63 მილიონი.

#### 1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

ირაკლი ოქრუაშვილი - შინაგან საქმეთა მინისტრი; თავდაცვის მინისტრი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

#### წაყენებული ბრალი:

სამსახურებრივი გულგრილობა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლი.

**შენიშვნა:** 2011 წლის 18 ივნისს საქართველოს პროკურატურამ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ, უკანონო შეირაღებული ფორმირების შექმნისა და ხელმძღვანელობის საქმეზე. 2013 წლის 18 იანვარს ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი მოეხსნა.

აღნიშნულ პროცესებს არ ესწრებოდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ დამკვირვებელი, თუმცა საქმის მიმდინარეობას ორგანიზაციის იურისტები აქტიურად ადევნებდნენ თვალყურს.

#### 2. რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის თანახმად:

თავდაცვის სამინისტროსთვის უხარისხო ვაზნების შექმნა (შემენილი ვაზნების საერთო რაოდენობამ 63 მილიონი შეადგინა).

#### 3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:

მოწმეთა ჩვენებების თანახმად 2006 წელს თავდაცვის სამინისტრომ შეიძინა 63 მილიონი ვაზნა, რომლებიც ქვეყანაში სამ ნაწილად შემოვიდა. ნაკლი მხოლოდ მესამე ნაწილს აღმოაჩნდა. მოწმეებმა ასევე განაცხადეს, რომ ვაზნებს ექსპერტიზა უკვე დავით კუხერაშვილის მინისტრობის პერიოდში ჩაუტარდა.

პროცესის მიმდინარეობისას ასევე გაირკვა, რომ პირადად მინისტრს ვაზნების შემოწმება არ ევალეზოდა, თუმცა ამის მიუხედავად იგი აკონტროლებდა ამ საკითხს და ვაზნების გადამოწმებაც მისი დავალებით მოხდა. ამასთანავე პროცესზე დადგინდა, რომ ვაზნების ნასყიდობის ხელშეკრულებას ხელს აწერდა არა ირაკლი ოქრუაშვილი, არამედ შესყიდვების სამსახურის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებული იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილის წინაშე.

მოწმის სახით დაიკითხა ექსპერტი, რომელმაც ბალისტიკური ექსპერტიზა ჩაატარა. მისი ჩვენების თანახმად შემთხვევითი შერჩევის წესით (გასროლით) შემოწმდა 1650 ვაზნის ვარგისიანობა. ექსპერტის დასკვნის მიხედვით ყველა ვაზნამ გაისროლა. დაფიქსირდა მხოლოდ მცირედი ცდომილება ტყვიის სიჩქარეში.

თავად ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენება თანხვედრაში იყო სხვა მოწმეთა ჩვენებებთან. დამატებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბრალდებულის განცხადებით ტყვიების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლები თავად დაუკავშირდნენ მას შესყიდვასთან დაკავშირებით. ოქრუაშვილის განცხადებით ის დაინტერესდა ტყვიების შესყიდვით, რადგან 2006 წლის ბოლოს მიღებული იყო გადაწყვეტილება ცხინვალის ალების შესახებ, შესაბამისად ლოგიკური იყო, რომ აუცილებელი იქნებოდა ვაზნების მომარაგება.

#### **4. პროცესის მიმდინარეობა:**

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** 2013 წლის 2 თებერვალს ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. პროკურატურის განმარტებით, არსებული მტკიცებულებით არ დასტურდებოდა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ფაქტი.

**დაცვის მხარის პოზიცია:** მოსამართლემ დაცვის მხარეს კითხა მათი პოზიციის შესახებ აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით. დაცვის მხარე დაეთანხმა შუამდგომლობას.

**განჩინება:** მოსამართლე გავიდა სხდომათა დარბაზიდან, ხოლო ერთსაათიანი თათბირის შემდეგ გამოცხადა განჩინება პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

#### **5. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება:**

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** პროკურატურამ იშუამდგომლა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ, რადგან არსებობდა რეალური საშიშროება იმისა, რომ ბრალდებული გავლენას მოახდენდა მოწმეებზე.

**დაცვის მხარის პოზიცია:** დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას, რადგან მისი განმარტებით არ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა.

**განჩინება:** განჩინების თანახმად ირაკლი ოქრუაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. მოსამართლემ გაიზიარა ბრალდების პოზიცია, რომლის თანახმადაც არსებობდა საშიშროება ირაკლი ოქრუაშვილის მიერ მომწმეებზე გავლენის მოხდენისა.

**შენიშვნა:** 2011 წლის 11 იანვარს, მოწმეთა დაკითხვის შემდგომ, პატიმრობა შეპატიმრობის ნაცვლად 15 000 ლარის გირაო შეუფარდა.

#### **6. განაჩენი:**

ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა.

#### **7. ჩვენი დაკვირვება**

საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის მოწმეთა ჩვენებები ისევე, როგორც ექსპერტიზის დასკვნა ბრალდებულის სასარგებლოდ მეტყველებდნენ, რის გამოც საბოლოოდ ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი თავად პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მოეხსნა.



ქრთამის აღება და შეთავაზება ხრამჭესი 1, ხრამჭესი 2, „მტკვარი ენერჯეტიკისა“ და „თელასის“ მფლობელ კომპანიას „ინტერ რაოს“ მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის თავის არიდების მიზნით.

### 1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

**ნიკა გვარამია** - გენერალური პროკურორის მოადგილე; საქართველოს იუსტიციის მინისტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

#### წაყენებული ბრალი:

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის მიღებაში დახმარება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 338-ე მუხლის, მეორე ნაწილის “გ” ქვეპუნქტი.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი, მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტი, მესამე ნაწილის “ბ” და “გ” ქვეპუნქტები.

ყალბი დოკუმენტის დამზადება რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი;

ცრუ მეწარმეობაში დახმარება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,193-ე მუხლი.

**ალექსანდრე ხეთაგური** - ენერჯეტიკის მინისტრი; ფინანსთა მინისტრი;

#### წაყენებული ბრალი:

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღება, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტი და მესამე ნაწილის “ე” ქვეპუნქტი.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჩადენილი ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტი და მესამე ნაწილის “ბ” და “გ” ქვეპუნქტები.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333<sup>11</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილი.

**კახაბერ დამენია** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე

**დევი კანდელაკი, გიორგი კანდელაკი, აშოტ მანუკიანი, იზაბელა ქურდიძე, გიორგი ნემისწვერიძე** - ბრალდებულები ჩართულები იყვნენ სამეწარმეო საქმიანობაში (კერძოდ

<sup>11</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

კომპანიებში “თელასი”, „ხრამჭესი1“ „ხრამჭესი2“, „მტკვარი ენერჯეტიკი“ და „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუშენი“ და “თელასი”).

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის შეთავაზება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლი.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჯგუფის მიერ, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტი და მესამე ნაწილის “გ” ქვეპუნქტები.

ცრუ მეწარმეობა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლი. -

## **2. რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის თანახმად**

პროკურატურის მტკიცებით ბრალდებულები მონაწილეობას იღებდნენ კორუფციულ გარიგებაში. წარმოებდა მოლაპარაკებები ენერჯეტიკის მინისტრთან, რათა ხრამჭესი 1, ხრამჭესი 2, „მტკვარი ენერჯეტიკისა“ და „თელასის“ მფლობელ კომპანიას „ინტერ რაოს“ თავი აერიდებინა საგადასახადო შემოწმებისგან.

**ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის თანახმად** ზემოხსენებულ კერძო საწარმოთა საგადასახადო შემოწმებისგან თავის არიდების მიზნით, დევი კანდელაკმა ალექსანდრე ხეთაგურს თანხმობის მისაღებად ქრთამის სახით ერთი მილიონი აშშ დოლარი შესთავაზა, რასაც ყოფილი ენერჯეტიკის მინისტრი დათანხმდა. ასევე ბრალდების თანახმად ნიკა გვარამია უშუალოდ მონაწილეობდა აღნიშნული მოლაპარაკებების ორგანიზებაში. კერძოდ, პროკურატურის მტკიცებით ნიკა გვარამიამ დევი<sup>12</sup> კანდელაკს გაუზიარა ერთი მილიონი აშშ დოლარის გადაცემის შესანიღბად შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმა. ნიკა გვარამიას დავალებით, გიორგი ნემსიწვერაძემ ფიქტიურად, შექმნა შპს. „ელ ენდ ეგ სერვისი“ რომელიც, პროკურატურის მტკიცებით საკონსულტაციო საქმიანობას მოჩვენებით ახორციელებდა. შპს „ელ ენდ ეგ სერვისი“ 2012 წლის 26 ივლისს დარეგისტრირდა. ამის შემდეგ, მის ანგარიშზე ხრამჭესი1, ხრამჭესი2, თელასისა და მტკვარი ენერჯეტიკის ანგარიშებიდან თანხები გადარიცხა შპს “ელ ენდ ეგ სერვისის” მიერ მათთვის გაწეული ფიქტიური საკონსულტაციო საქმიანობის ასანაზღაურებლად. „ელ ენდ ეგ სერვისისთვის” გადარიცხულმა თანხამ ჯამში 950000 აშშ დოლარი<sup>13</sup>.აშშ დოლარი შეადგინა.

## **3. საქმეში არსებული მტკიცებულებები/მოწმეთა ჩვენებები:**

საქმე შედგება 16 ტომისგან. არსებობს მოწმეთა ჩვენებებიც. ამ მომენტისთვის მიმდინარეობს მტკიცებულებათა განხილვა.

<sup>12</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

<sup>13</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლების ჩვენებების თანახმად 2012 წლის სექტემბერში<sup>14</sup> ხრამჭესი1, ხრამჭესი2, თელასისა და მტკვარი ენერჯეტიკში დაიწყო ფინანსური შემოწმება, ხოლო ალექსანდრე ხეთაგურის ბრძანებების საფუძველზე, შემოწმების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში სამსახურის უფროსმა შეწყვიტა შემოწმების პროცესი;

ერთ-ერთი მოწმის განცხადებით, არჩევნების შემდეგ მას დაუკავშირდა ალექსანდრე ხეთაგური, მოთხოვნით შეწყვეტილიყო საგადასახადო შემოწმება. მოწმის განცხადებით, ყოფილმა მინისტრმა მასთან საუბარში აღნიშნა, რომ ვინაიდან არჩევნების შედეგად მთავრობა შეიცვალა, მიზანშეწონილი იყო შემოწმების შეჩერება.

მოწმედ დაბარებულმა ერთ-ერთმა ექსპერტმა (ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან) დაადგინა, რომ შპს „ელ ედნ ევ სერვისის“ სახელით გარკვეულ დოკუმენტებზე ხელს აწერდა გიორგი ნემსიწვერიძე, ხოლო ზოგიერთ დოკუმენტს ხელს სხვა პიროვნება აწერდა, თუმცა ხელმოწერა მიმგვანებული იყო გიორგი ნემსიწვერიძის ხელმოწერას. აღნიშნული ხელმოწერის გაყალბებაზე მიუთითებს.

#### **4. პროცესის მიმდინარეობა**

წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ მიუთითა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეებს საქმეში არსებული ტექნიკური ხარვეზების შესახებ. მაგალითად, წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებულ თარიღებთან დაკავშირებით, მტკიცებულებების ჩამონათვალში ნუმერაციის უსწორობაზე, მექანიკური შეცდომებზე მიღება-ჩაბარების აქტებში, ასევე ადვოკატის ორდერის ნომერი და პირადობის მოწმობის ნომერი არეული იყო, მტკიცებულებათა სიაში მითითებული ოქმი სატელეფონო შეტყობინებების შესახებ არ იყო წარმოდგენილი. ხარვეზები იყო საკმაოდ დიდი რაოდენობით, რასაც დარბაზში ირონიული სიცილი და რამდენიმე კომენტარიც მოყვა. მოსამართლემ გააფრთხილა პირები წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გამოსაყენებელი ქმედებების შესახებ, რის შემდეგაც მსგავსი კომენტარების დარბაზის მხრიდან აღარ გაკეთებულა.

მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმის ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვის შესახებ. მოსამართლემ აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირება სთხოვა დაცვის მხარეს. ბრალდებულებმა უარი განაცხადეს საქმეში ნაფიც-მსაჯულთა მოწვევაზე, მიზეზად კი მათ მიმართ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მცდარი სტერეოტიპები დასახელდა, რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა ნაფიც-მსაჯულთა ობიექტურობაზე.

#### **5. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება**

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** პროკურატურამ სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ, ხოლო ი. გუტიძის მიმართ მოთხოვნილი იქნა გირაო 50 000 ლარის ოდენობით.<sup>15</sup>

<sup>14</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

<sup>15</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

**დაცვის მხარის პოზიცია:** დაცვის მხარე არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას, რადგან მიაჩნდა რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა არ არსებობდა.

**განჩინება:** სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით და საქმის გარემოებების გათვალისწინებით ბრალდებულებს ნიკა გვარამიას, ალექსანდრე ხეთაგურს, კახაბერ დამენიას და დევი კანდელაკს შეეფარდა აღკვეთი ღონისძიება გირაოს სახით 30 000 ლარის ოდენობით; ხოლო ბრალდებულებს<sup>16</sup>, აშოტ მანუკიანს, იზაბელა გურტიძესა და გიორგი ნემისწვერიძეს კი შეეფარდათ იგივე სახის აღკვეთის ღონისძიება 15 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად არ დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულების მიმართ პატიმრობის გამოყენების შესახებ.

## 6. განაჩენი:

პროცესი დღემდე მიმდინარეობს. ამ ეტაპზე წარმოებს მტკიცებულებათა გამოკვლევა - მოწმეთა დაკითხვა.

## 7. ჩვენი დაკვირვება

მოცემული დროისთვის მოწმეთა ჩვენებებიდან გამომდინარე მხოლოდ ის ირკვევა, რომ საგადასახდო შემოწმების პროცესი ალექსანდრე ხეთაგურის ბრძანების საფუძველზე შეჩერდა. ასევე გამოიკვეთა შპს „ელ-ენდ-ეფ“ სერვისის სახელით ხელმოწერათა სავარაუდო გაყალბების შემთხვევები.

## თენგიზ გუნავა

### 1. ცეცხლსასროლი იარაღით მძღოლის ჯანმრთელობის დაზიანების ეპიზოდი

თენგიზ გუნავას მიერ საკუთარი მძღოლი კ.ზ-სთვის ცეცხლსასროლი იარაღით ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ეპიზოდი.

#### 1.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

**თენგიზ გუნავა** - გენერალური ინსპექციის უფროსი; სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი.

#### წაყენებული ბრალი:

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, იარაღის გამოყენებით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი:

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი.

#### 1.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად

<sup>16</sup> შესწორებულ იქნა პროკურატურის შენიშვნების მიხედვით

თენგიზ გუნავა მუშაობდა შსს სამეგრელო- ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსად, რა დროსაც მან გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას. 2012 წლის 31 მარტს, ზუგდიდში რკინიგზის სადგურზე საკუთარ მძღოლს მიაყენა ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანება მარჯვენა ფეხის არეში. შედეგად იზორიამ მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

### *1.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები*

**ბრალდების მოწმეთა ჩვენებები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ჯანმრთელობის დაზიანების ეპიზოდებზე** - ერთ-ერთ მოწმის ჩვენების თანახმად, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდებოდა მიყურადება დანაშაულში მხილებულ პირზე და ამავე საქმესთან კავშირში დაიწყეს ასევე კახაბერ იზორიას (დაზარალებულის) ტელეფონის მოსმენაც. მიყურადების შედეგად გაირკვა, რომ კახაბერ იზორიას, გუნავას ნათესავთან (დაოჯახებულთან) ჰქონდა სასიყვარულო საუბარი და გაუგზავნა მას ინტიმური შინაარსის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინება. თავად დაზარალებული თქმით, მან ინტიმური მოკლე ტექსტური შეტყობინება შემთხვევით გაუგზავნა გუნავას ნათესავს. აღნიშნული პრეცედენტის შემდეგ დაზარალებულს მეორე დღესვე დააწერინეს განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ. იმავე დღეს მას შეხვდა გუნავა და კიდევ სამი პიროვნება. საუბრის დასრულების შემდეგ, როდესაც მოწმე ტოვებდა ტერიტორიას ის ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრეს ფეხში. დაზარალებულის თქმით, იარაღი თან ჰქონდა როგორც გუნავას, ისე იქ მყოფ სხვა პირებსაც. თუმცა მან ვერ დაინახა ვინ მოახდინა გასროლა. ექსპერტიზით დასტურდება, რომ ჭრილობები მიყენებული იყო ცეცხლსასროლი იარაღით. სხვა მოწმეების (დაზარალებულის ნათესავები და ოჯახის წევრები) ასევე ადასტურებდნენ დაზარალებულის დაჭრის ფაქტს, თუმცა მოწმეები გარდა ბ.გ-სა აღნიშნავენ, რომ ისინი არ ყოფილან ინციდენტის მომსწრენი, შესაბამისად არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ ვინ მოახდინა გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, რის შედეგადაც დაიჭრა დაზარალებული.

## **2. სახელმწიფო სახსრების უკანონოდ მითვისების ეპიზოდები (II და III ეპიზოდები)**

3000 ლიტრი ბენზინისა (საერთო ღირებულებით 6750 ლარი) და 49500 ლარის მითვისების ეპიზოდები.

### *2.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი*

**თენგიზ გუნავა** - გენერალური ინსპექციის უფროსი; სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი.

#### **წაყენებული ბრალი:**

სხვისი ნივთის დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო მითვისება, როდესაც ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის, მესამე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტი (ორი ეპიზოდი).

### *2.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად*

2. თენგიზ გუნავამ მან 2012 წლის 11 აგვისტოს, მის დაქვემდებარებაში მყოფ, საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსს ზაზა ჩოხელს დაავალა საქართველოს შს სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან მიეღო 3000 ლიტრი ბენზინი „პრემიუმი“-ს საწვავის

ტალონები და გადაეცა მისთვის. ზაზა ჩოხელმა იმავე დღესვე გასავლის ზედდებულით მიიღო 3000 ლიტრი ბენზინი „პრემიუმი“- ს საწვავის ტალონები, საერთო ღირებულებით 6750 ლარი და გადასცა გუნავას. ბრალდების მტკიცებით, გუნავამ გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას რადგან, არ გამოიყენა საწვავი სამსახურებრივი დანიშნულებისამებრ, ასევე არ იქნა დაცული კონკრეტული ნორმატიული აქტით დადგენილი პროცედურები (ნორმატიული აქტი-მინისტრის ბრძანება წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას).

3. 2012 წლის აგვისტოში თ.გუნავას მოთხოვნითა და საქართველოს შს სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანხმობით შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსს ზაზა ჩოხელს დაევალა გუნავაზე გაცემული 49 500 ლარის მისთვის გადაცემა. მან მიღებული თანხა მაშინვე სრულად გადასცა თ. გუნავას. აღნიშნული თანხის მოთხოვნა თ. გუნავამ ოფიციალურად გააფორმა მოგვიანებით, რისთვისაც 2012 წლის 24 აგვისტოს შეადგინა პატაკი ფარული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებიდან 49 500 ლარის გამოყოფაზე (შესაბამისი ნორმატიული აქტი - მინისტრის ბრძანება წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას). აღნიშნული თანხის მიღება თენგიზ გუნავას მიერ დადასტურებული იქნა 2012 წლის 01 სექტემბრის სალაროს გასავლის ორდერით. ბრალდების თანახმად, მითითებული თანხა თენგიზ გუნავას მიერ გამოყენებული არ ყოფილა სამსახურებრივი საჭიროებისათვის, რის შედეგადაც სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი მითითებული 49 500 ლარის თანხის სახით.

### *2.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები:*

**ბრალდების მოწმეთა ჩვენებები 30 ათასი ა.შ.შ. დლარის და 3000 ლიტრ ბენზინის ეპიზოდებზე** - გენერალური ინსპექციის თანამშრომლების ჩვენებით აღნიშნული უწყების შესაბამის დეპარტამენტში/ სამსახურში (საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ადმინისტრაციული სამსახური) შედიოდა წერილობითი განცხადებები თანხის ან საწვავის მიღების თაობაზე, რის შემდეგ ხდებოდა აღნიშნულის გაცემა. გაცემას ხელს აწერდნენ გამცემი პირი და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსი. თანხის/საწვავის გამოყენების შემდეგ უწყებაში შედიოდა დოკუმენტი თანხის გახარჯვის შესახებ (საწვავის შემთხვევაში ზედდებული) რასაც თან სდევდა თანხის ან საწვავის ჩამოწერა. მოწმეთა ჩვენებების თანახმად ერთ-ერთ შემთხვევაში 30 ათასი დოლარი გაიცა იმ ოპერატიულ ერთეულზე რომლის უფროსიც იყო გუნავა. ასევე ერთ-ერთი მოწმის ჩვენების თანახმად გუნავას სახელზე გაიცა 3000 ლიტრი ბენზინი, შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე. რაც მისივე მითითებით იყო ჩვეული პრაქტიკა. მისივე ჩვენებით მან შეადგინა შესაბამისი საბუთი და ჩამოწერა ბენზინი მხოლოდ ბენზინის გაცემის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ამ ორი ეპიზოდის შესახებ ჩვენ ვერ შევძელით დეტალური ინფორმაციის მოპოვება, იმ მიზეზით რომ მინისტრის ის ბრძანება რომელიც არეგულირებს შესაბამის პროცედურებს წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მიზეზით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სხდომები იყო დახურული.

### *4. პროცესის მიმდინარეობა*

თენგიზ გუნავას ბრალი ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერების (მართლსაწინააღმდეგო) შექმნა, შენახვის მუხლით, თუმცა იმის გამო რომ მტკიცებულებები მოპოვებული იყო საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით, მას ბრალი მოეხსნა მოსამართლის მიერ პროკურორის შესაბამის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ.

ერთ-ერთ პროცესს არ ესწრებოდა თენგიზ გუნავას ადვოკატი (პარალელურად მიმდინარეობდა ახალაიას პროცესი სადაც იგივე პიროვნება წარმოადგენდა ბრალდებულის ინტერესების დამცველს). ადვოკატის შემცვლელად ბრალდებულის დამცველად წარმოდგენილი იყო პიროვნება (სტაჟიორი) რომელსაც არ ქონდა ადვოკატის მოწმობა. შესაბამისად დაცვის მხარის მიმართვის მიუხედავად მოსამართლემ არ მისცა მას უფლება გამოსულიყო ბრალდებულის ინტერესების დამცველად აღნიშნულ სხდომაზე.

#### **5. რა სახის აღკვეთი ღონისძიება შეეფარდა**

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** პროკურატურა შუამდგომლობდა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ, რადგან არსებობდა თენგიზ გუნავას მიერ საქმის მიმდინარეობისთვის ხელის შეშლის საშიშროება.

#### **დაცვის მხარის პოზიცია:**

დაცვის მხარე არ დაეთანხმა პროკურატურის შუამდგომლობას და ნაცვლად ამისა მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით უფრო მსუბუქი ზომის გამოყენება, როგორცაა გირაო.

#### **განჩინება:**

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნულ შუამდგომლობაზე მსჯელობის შემდეგ, არ გაითვალისწინა რა პროკურატურის მოთხოვნა თენგიზ გუნავას აღკვეთი ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 10000 ლარის ოდენობით საპატიმრო უზრუნველყოფით.

#### **6. განაჩენი**

ბრალდებული თენგიზ გუნავა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში წარდგენილ ორივე ეპიზოდში და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მიყენებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

თენგიზ გუნავა ცნობილ იქნა დამნაშავედ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი მითვისების ორივე ეპიზოდში, კერძოდ, 3000 ლიტრი ბენზინის და 49500 ლარის მითვისებაში და საბოლოოდ სასჯელთა შთანთქმის და 2012 წლის დეკემბრის ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის გამოყენებით, სასჯელის სახით განესაზღვრა 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

#### **7. ჩვენი დაკვირვება (ორივე ეპიზოდზე)**

ცეცხლსასროლი იარაღით საკუთარი მძღოლის დაჭრის ეპიზოდთან დაკავშირებით თავად დაზარალებულის ჩვენებიდან გამომდინარე ვერ დგინდება უშუალოდ თენგიზ გუნავას მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ფაქტი.

სახელმწიფო სახსრების მითვისების საქმის არსებითი განხილვა დახურულ სხდომაზე მიმდინარეობდა, შესაბამისად ამ ნაწილში თენგიზ გუნავას საქმის შეფასებას ვერ განვახორციელებთ.

1. ჯაშუშობის აღიარების მიზნით განხორციელებული ძალადობის ეპიზოდი

დ.ლ-ს ფიზიკური და ფსიქიკური იძულება რათა ეღიარებინა ჯაშუშობა.

1.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

მეგის ქარდავა, სერგო ბიწაძე, რატი მგელაძე, ზვიად კაკაბაძე, თორნიკე გუნავა, მერაბ მეტრეველი, ალექსანდრე ხუჭუაშვილი, მამუკა წურწუშია, გიორგი სამუშია, კობტა კოდუა - სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების თანამშრომლები.

წაყენებული ბრალი:

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი;

ძმევლად ხელში ჩაგდება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლი;

წამება დამამძიმებელ გარემოებებში - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლი.

1.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის თანახმად

ასევე 2011 წელს მეგის ქარდავამ ბაჩანა ახალაიას თანდასწრებით მუქარის საფუძველზე დ.ლ-ს მოსთხოვა ჯაშუშობის აღიარება. დ.ლ-მ მუქარის შედეგად ჯაშუშობა აღიარა.

1.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები:

დაზარალებული დ.ლ. სამხედრო მოსამსახურე იყო. მისი ჩვენების თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ მოეპოვებინათ საკუთრების უფლება დედამისის ნაკვეთზე, საბაზრო ღირებულებასთან შედარებით საგრძნობლად დაბალ ფასად. ამ მიზნით დ.ლ. გამოიძახეს სამხედრო პოლიციაში, სადაც ის შეხვდა მეგის ქარდავას. ამ უკანასკნელმა განუმარტა, რომ თუ ნაკვეთს არ გაყიდიდა პრობლემები შეექმნებოდა. დაზარალებულის ჩვენებით შეხვედრის შემდეგ დაიწყო მისი ტელეფონის მოსმენა. ერთ ღამეს მას დაურეკეს და უთხრეს, რომ გამოცხადებულიყო სამსახურში, სადაც მას დახვდა სამხედრო პოლიციელი, რომელმაც იგი მეგის ქარდავას კაბინეტში შეიყვანა. ქარდავას გარდა მის კაბინეტში კიდევ ოთხი პიროვნება იმყოფებოდა. დაზარალებულის განცხადებით, მას კაბინეტში ფიზიკურად გაუსწორდნენ და სამშობლოს ღალატის აღიარებას აიძულებდნენ. მეგის ქარდავამ დაზარალებულს აგინა და თავში ჩაარტყა. ცემის შემდგომ დაზარალებულს დაემუქრნენ, რომ თუ ის არ აღიარებდა დანაშაულს მის მიმართ გამოიყენებდნენ სექსუალური ხასიათის ძალადობას. ამ მუქარის შემდეგ დაზარალებული დათანხმდა ჯაშუშობის აღიარებას. კერძოდ, მოწმე დ.ლ-ს თქმით, მოცემული დროისთვის მასთან ჩამოსული იყო მისი მეგობარი ვინმე ტომაშუკი, რომელსაც უნდა გადაეცა მოწმისთვის მეხსიერების ბარათზე შენახული მისი ოჯახის წევრების სურათები. დ.ლ-ს განცხადებით მას მიამაგრეს ფარული კამერა და უთხრეს, რომ შეხვედროდა ტომაშუკს და გამოერთვა მისთვის მეხსიერების ბარათი რომელზეც სურათები იყო და შეთანხმებოდა ტომაშუკს შემდეგ შეხვედრაზე. მოწმე ასეც მოიქცა. ამის შემდეგ დ.ლ-ს გააცნეს გეგმა თუ როგორ უნდა გადაეცა ტომაშუკისთვის ჩიპი, რომელიც ქარდავამ მისცა და რომელზეც როგორც მას უთხრეს იქნებოდა საიდუმლო ინფორმაცია შენახული. დ.ლ. გეგმის



შესაბამისად შეხვდა ტომაშუკს და გადასცა ჩიპი, ასევე განუმარტა რომ მასზე შენახული იყო მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ტომაშუკს შეეძლო ის გაეყიდა. მოწმის ჩვენებიდან გამომდინარე სწორედ ეს წამოადგენდა ჯამუშობაში მისი და მისი ნაცნობის სერგო თეთრადის დადანაშაულების საფუძველს. ამასთან სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა მოწმის ტელეფონიდან ამოარჩიეს სამი პირი, მათ შორის სერგო თეთრადე, რომლებთან ერთადაც თითქოსდა მოწმე ახორციელებდა ჯამუშობას.

*შენიშვნა: სერგო თეთრადის ეპიზოდი ასევე საქმესთან დაკავშირებული სხვა მოწმეთა ჩვენებები დაწვრილებით განხილული იქნება საქმეში არსებული მეორე ეპიზოდის განხილვისას.*

## 2. სერგო თეთრადის ეპიზოდი

სერგო თეთრადის წამებისა და სექსუალური ძალადობის ეპიზოდი.

### 2.1 ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

**მეგის ქარდავა** - თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი.

**წაყენებული ბრალი:**

1. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი;
2. წამება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 პრიმა მუხლის 1 ნაწილი და 2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „ზ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

**ვიქტორ ყაჭეიშვილი** - სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი

**ოლეგ ფაცაცია** - სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსი;

**ალექსანდრე მუხაძე** - სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების ყოფილი დირექტორი;

**წაყენებული ბრალი:**

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი;

### 2.2 რაში გამოიხატა ქმედება პროკურატურის ბრალდების თანახმად

2011 წლის სექტემბერში მეგის ქარდავას ვიქტორ ყაჭეიშვილისა და ოლეგ ფაცაციას მითითებითა და გეგმის შესაბამისად არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პატიმრებმა - ვინმე მელაშვილმა და სისაურმა **ჯამუშობის აღიარების მოთხოვნით** განახორციელეს სერგო თეთრადის წამება და მის მიმართ სექსუალური ძალადობა (ხდებოდა ასევე წამების ვიდეო გადაღება). წამების პროცესში თეთრადე ინფარქტის შეტევით გარდაიცვალა.

### 2.3 საქმეში არსებული მტკიცებულებები/ მოწმეთა ჩვენებები:

აღსანიშნავია, რომ სერგო თეთრაძე სწორედ დაზარალებულ დ.ლ-ს მიერ იძულებით ჩვენების მიცემის საფუძველზე დააკავეს. თავად მოწმის ჩვენების თანახმად მისი მობილური ტელეფონიდან აარჩიეს სერგო თეთრაძე როგორც ერთ-ერთი მონაწილე ჯაშუშობისა და მიიღეს მისი საკონტაქტო ინფორმაცია. ამის შემდეგ ჩატარდა ჩხრეკა სერგო თეთრაძის ბინაში. კერძოდ გარდაცვლილის მეუღლის მარინა თეთრაძის ჩვენების თანახმად, 2011 წლის 17 სექტემბერს, გაჩხრიკეს მათი საცხოვრებელი ბინა, შესაბამისი ორდერის წარდგენის გარეშე, ჩხრეკას არც მოწმეები ესწრებოდნენ. სერგო თეთრაძის მეუღლემ აღნიშნა, რომ ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა ვერაფერი იპოვეს. ამოიღეს თეთრაძის პასპორტი და მობილური ტელეფონი. აღნიშნული ნივთები დაალაგეს მაგიდაზე. მათთან ერთად მაგიდაზე იდო ასევე წითელი ფერის მეხსიერების ბარათი, რომელიც მარინა თეთრაძის განცხადებით, არ ეკუთვნოდა ოჯახის არც ერთ წევრს. ამის შემდეგ მტკიცებულებები დალუქეს და წაიღეს. შემდეგ მოწმის თქმით სერგო თეთრაძე დაკითხვის მიზნით წაიყვანეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა. რამდენიმე საათში 20 კაციანმა ჯგუფმა ხელახლა ჩატარა ჩხრეკა სარდაფში. აღნიშნული პროცესი 2 საათი მიმდინარეობდა. მოწმის განცხადებით იმავე დღეს მასთან მივიდა პიროვნება, რომელმაც სთხოვა მოეწერა ხელი ოქმზე. მარინა თეთრაძეს აღნიშნულ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია. მარინა თეთრაძემ ამავე პიროვნებისგან მიიღო ინფორმაცია, რომ მისი მეუღლე დაკითხვაზე ჰყავდათ. მოწმის განცხადებით მისმა ადვოკატმა მხოლოდ მეორე დღეს შეძლო იმის დადგენა თუ სად იმყოფებოდა სერგო თეთრაძე. როგორც გაირკვა თეთრაძე მოთავსებული იყო წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც მასზე განხორციელებული იყო ფიზიკური ძალადობა. 2011 წლის 19 სექტემბერს საღამოს შვიდ საათზე ჩატარდა სერგო თეთრაძის სასამართლო სხდომა, მას ჯაშუშობის ჩადენას ედავებოდნენ. სხდომაზე მარინა თეთრაძემ ნახა თავისი მეუღლე, რომელსაც გაშავებული ქონდა სახის მნიშვნელოვანი ნაწილი და უჭირდა გადაადგილება. მას შემდეგ მარინა თეთრაძეს საკუთარი მეუღლე აღარ უნახავს. 24 სექტემბერს სერგო თეთრაძის ოჯახს აცნობეს, რომ თეთრაძეს ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები. მოგვიანებით კი მარინა თეთრაძეს შეატყობინეს, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა და ცხედარი უნდა წაესვენებინათ. მოწმის თქმით, როდესაც მისი მეუღლე სახლში მიასვენეს, ცხედარს საკუთარი ტანსაცმელი არ ეცვა, იყო ნაწამები და სახეზე მაკიაჟი ჰქონდა გაკეთებული.

მოწმე ლ.ფ-მ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კონტროლიორად მუშაობდა. მას პატიმრების სასამართლო პროცესზე გაშვებისა და მიღების აღრიცხვა ევალებოდა. მოწმემ პროცესზე გაიხსენა „ჭაღარა კაცის“ წამებისა და გარდაცვალების ფაქტი, რასაც 2011 წლის სექტემბრის თვეში ჰქონდა ადგილი.

პროცესზე ასევე დაიკითხნენ მოწმეები: თ.ა და გ.გ. მათი ჩვენებები თანხვედრაში იყო ზემომითითებულ მოწმეების ჩვენებებთან. ერთ ერთმა მოწმემ (გ.გ.) დამატებით გაიხსენა, რომ საკანში ყოფნისას დაინახა თუ როგორ გაიყვანეს საკნიდან სერგო თეთრაძე და შემდეგ მისი ყვირილის ხმა ესმოდა. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ 23 სექტემბერს დაინახა თუ როგორ გაასვენეს გარდაცვლილი თეთრაძე. გ.გ.-მ ასევე გაიხსენა, რომ გამომძიებელმა გოგიჩაიშვილმა დააწერინა მას ადვოკატების აცილება და ახალ ადვოკატთან ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი.

საქმეში არსებობს სისაურისა და ტერაშვილის აღიარება, ასევე სხვა მოწმეთა ჩვენებები.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 18 სექტემბერს სერგო თეთრადე პასუხისმგებლობაში მიეცა სამ სხვა პირთან: დ.ლ-სთან, გ. გ-სთან და ს.ჩ-სთან ერთად ჯამუშობის ბრალდებით. პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით ყველა ბრალდებული პირი ცნობილ იქნა პოლიტიკატიმრად და შესაბამისად 2012 წლის 12 იანვრის „ამნისტიის აქტის“ საფუძველზე გათავისუფლებულია სასჯელისაგან.

#### **4. პროცესის მიმდინარეობა:**

სხდომის მიმდინარეობის დროს შელაპარაკება მოხდა დაზარალებული სერგო თეთრადის ადვოკატსა და ერთ-ერთი ბრალდებული ცოლსა და დედას შორის. ნახსენები პირები ერთი მეორეს უკან იხდნენ და თეთრადის ადვოკატის თქმით ალექსანდრე ისინი მთელი სხდომა აყენებდნენ შეურაცხყოფას, რაც საბოლოოდ მან არ მოითმინა. მოსამართლემ სამივე პირი გაამევა დარბაზიდან. აღსანიშნავია, რომ პროცესის ბოლოს პროკურორმა მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით დაეშვათ სერგო თეთრადის ადვოკატი პროცესზე, რადგან ინციდენტი არ მომხდარა მისი ბრალით. მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა თუმცა განაცხადა, რომ ფაქტის განმეორების შემთხვევაში, მსგავს შუამდგომლობას აღარ დააკმაყოფილებდა.

ამჟამად მიმდინარეობს მტკიცებულებათა განხილვის ეტაპი.

#### **5. რა სახის აღკვეთი ღონისძიება შეეფარდა:**

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** ბრალდების მხარემ მოითხოვა პატიმრობის გამოყენება აღკვეთი ღონისძიების სახით, რაც ბრალდების სიმძიმით მოწმეებზე შესაძლო ზემოქმედებითა და ერთერთი ბრალდებულის, მეგის ქარდავას, მიმალვაში ყოფნით ახსნა.

**დაცვის მხარის პოზიცია:** დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მოთხოვნას და მიუთითა პირდაპირი მტკიცებულებების არ არსებობაზე (ექსპერტის დასკვნის არ არსებობა).

**განჩინება:** მოსამართლემ იმსჯელა რა აღნიშნულ საკითხზე, გაითვალისწინა არსებული მდგომარეობა, მათ შორის ის ფაქტი, რომ მეგის ქარდავა იმყოფებოდა მიმალვაში და დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

#### **6. განაჩენი:**

საქმის განხილვა კვლავ მიმდინარეობს.

#### **7. ჩვენი დაკვირვება (ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით)**

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები ძირითადად ეყრდნობა მოწმეთა ჩვენებებს, უნდა აღინიშნოს რომ ისინი ერთმანეთთან არის თანხვედრაში და გარკვეულწილად იძლევა სრული სურათის მიღების შესაძლებლობას.

## გეგი ქელბაქიანი და არჩილ ჩოგოვაძე

რიყეზე მიდინარე სამუშაოებისთვის შპს „გვირაბ გამყვანისთვის“ გადარიცხული 6 589 ათასი ლარიდან (ხელშეკრულება აღნიშნულის შესახებ მხარეებს შორის არ დადებულია) 2 535 ათასი ლარის უკან დაბრუნების ეპიზოდი.

### 1. ბრალდებული პირები და წაყენებული ბრალი

გეგი ქელბაქიანი - შპს „ენ-სი-სი“-ის 70% წილის მფლობელი და დირექტორი. (მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ის ასევე მეგობრობდა გიგი უგულავასთან, თუმცა მასთან რაიმე სახის ნათესაობრივი კავშირი არ გააჩნდა).

#### წაყენებული ბრალი:

1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის, მეორე ნაწილის “გ” ქვეპუნქტი და მესამე ნაწილის “ა” ქვეპუნქტი.

2. ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლი.

არჩილ ჩოგოვაძე - შპს “ენ-სი-სი”-ს ფინანსური მენეჯერი.

#### წაყენებული ბრალი:

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის, მეორე ნაწილის “გ” ქვეპუნქტი და მესამე ნაწილის “ა” ქვეპუნქტი.

### 2. რაში გამოიხატა ქმედება ბრალდების თანახმად:

პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად შპს „ენ-სი-სი“-მ 2009 წლიდან 2011 წლის ჩათვლით განხორციელდა სხვადასხვა სახის სამუშაოები თბილისის მერიის დაკვეთით, ერთ-ერთთან დაკავშირებით გამოიკვეთა სს წესით დასჯადი ქმედების ნიშნები. კერძოდ რიყეზე სამუშაოების ჩატარების მიზნით შპს ”ენ-სი-სი“-მ გადაურიცხა გოჩა დარსაძესა და შპს „გვირაბგამყვანს“ 6 589 ათასი ლარი (ხელშეკრულება აღნიშნულის შესახებ მხარეებს შორის არ დადებულია). აღნიშნული თანხიდან გეგი ქელბაქიანმა და არჩილ ჩოგოვაძემ უკან დაიბრუნეს 2 535 ათასი ლარი.

### 3. საქმეში არსებული მტკიცებულებები:

#### ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებები:

გამოძიება დაიწყო გ.დ-ს მიერ გამოძებნისთვის ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, რომლის თანახმადაც შპს „ენ-სი-სი“-ის 70% წილის მფლობელი და დირექტორი გიორგი ქელბაქიანმა და მისი ფინანსური მენეჯერმა არჩილ ჩოგოვაძემ რიყის მშენებლობის საქმეზე მიიღეს დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი.

მოწმე გ.თ-მ, რომელიც 2011-2012 წლებში მუშაობდა აღნიშნულ პროექტებზე, აღნიშნა რომ მისის უშუალო მეთვალყურის ინფორმაციით აღნიშნულ ობიექტზე სამუშაოებს გეგი ქელბაქიანი უკვეთავდა. ანალოგიური ჩვენება მისცეს საქმეზე პროექტში დასაქმებულმა სხვა პირებმაც. ყველა შემთხვევაში იკვეთებოდა ის გარემოება, რომ მუშებს არ ქონიათ უშუალო შეხება ქელბაქიანთან და დარასელიძის გადმოცემით იცოდნენ რომ მას ხელმძღვანელობდა ქელბაქიანი.

**ჩვენება მისცა ასევე მოწმე რ.მ-მ რომელმაც ჩაატარა აღნიშნული კომპანიის საფინანსო შემოწმება 2011 წელს. მისი თქმით შემოწმების ჩატარებისას გამოყენებულ იქნა საბანკო ანგარიშები, დაკითხვის ოქმები, და ბრალდებულთა კომპიუტერებიდან აღებულ დოკუმენტები. აღნიშნულის საფუძველზე მოწმემ დაადგინა რომ სახეზე იყო ე.წ. ატკატი. კერძო მიმოწერებში მითითებული იყო მისაღები და რეალურად მიღებული თანხები, რომლებიც ერთმანეთისგან გასხვავდებოდა. ტერმინი „ატკატი“ გამოძიების ეტაპზე იყო გამოყენებული მოწმეთა ჩვენებებში. დაცვის მხარე იმაზე მიუთითებდა რომ პირისთვის ზედმეტი თანხის გადარიცხვა და შემდეგ ამ ზედმეტობის უკან დაბრუნება არ უნდა ჩათლილიყო უკანონო ქმედებად, ხოლო მოწმეს არ ქონდა უფლება მის დასკვნაში გამოყენებინა სიტყვა „ატკატი“ რადგან ის არ იყო იურისტი და არ ქონდა ფაქტების სამართლებრივი შეფასების კომპეტენცია.**

#### **4. პროცესის მიმდინარეობა:**

მიმდინარეობს მტკიცებულებითა განხილვის ეტაპი.

#### **5. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება:**

**ბრალდების მხარის შუამდგომლობა:** პროკურატურამ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

**დაცვის მხარის პოზიცია:** დაცვის მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

**განჩინება:** დანაშაულის სიმძიმის, ბრალდებულის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. გეგი ქელბაქიანს შეეფარდა გირაო 150 ათასი ლარის ოდენობით. ბრალდებულ არჩილ ჩოგოვამძეს კი შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება პატიმრობის სახით. აღნიშნული დასაბუთებას მოწმეებზე გავლენის მოხდენის საშიშროება წარმოადგენდა.

*ასევე აღნიშნულ საქმეზე პროცესის მიმდინარეობისას დაცვის მხარემ არაერთხელ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით შეცლილიყო პატიმრობა გირაოთი. თუმცა მოსამართლე მიუთითებდა რა რომ არ იყო კანონით გათვალისწინებული გარემოება აღკვეთი ღონისძიების არასაპატიმრო სახით შეცვლისათვის, არ აკმაყოფილებდა შუამდგომლობას. მხოლოდ მას შემდეგ რაც დასრულდა მოწმეთა დაკითხვა მოსამართლემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, შესაბამისად საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება შეიცვალა გირაოთი 100 ათასი ლარის ოდენობით.*

#### **6. განაჩენი**

საბოლოო გადაწყვეტილება არ მიღებულა.

#### **7. ჩვენი დაკვირვება**

საქმეში ბრალდების ერთ-ერთ ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს სამუშაოს მწარმოებელი იურიდიული პირებისთვის გადარიცხული თანხების ნაწილის უკან ბრალდებულთა ანგარიშზე

დაბრუნება. ამ ეტაპზე პროცესის განმავლობაში ნათლად არ გამოხატულა თუ რამდენად შეიცავს ზემოაღნიშნული ქმედება სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ქმედებების ნიშნებს.